პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 241 (10635) | კვირა, 14 ოქტომბერი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

ორგანიზებულად მოვაწყოთ ცხვრის გადარეკა საზამთრო საძოვრებზე

დაიწყო ცხვრის გადარეკა ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე. მალე გადასარეკ ტრასაზე მასობრივად გავა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, დუშეთის, ყაზბეგის, თიანეთის, ახმეტის რაიონების კოლმეურნეობათა ცხვარი. მომთაბარე მეცხოველეობის რაიონების პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები პასუხსაგები ამოცანის წინაშე დგანან. მათს უნარიან ხელმძღვანელობაზეა დამოკიდებული პირუტყვის ორგანიზებულად გადარეკა და დაბინავება საზამთრო საძოვრებზე.

ჩვენს ქვეყანას სჭირდება მეტი მატყლი. საბჭოთა ხალხის კულტურისა და კეთილდღეობის ზრდასთან ერთად სულ უფრო მატულობს მოსახლეობის მოთხოვნილება კარგი ხარისხის შალის ქსოვილზე. ნაზი და ნახევრადნაზი მატყლის წარმოების ყოველმხრივი და სწრაფი განვითარება კოლმეურნეობების, მტს-ების, მეცხვარეობის ყველა მუშაკის ღვიძილი საქმეა.

ამ საპატიო ამოცანის წარმატებით განხორციელების ინტერესები მოითხოვს ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე ყველა კოლმეურნეობამ შეასრულოს საკვების დაგროვების დავალება, საჭირო რაოდენობით შექმნას სადაზღვევო მარაგი. ერთ სულ ცხვარზე უნდა დამზადდეს სულ მცირე 1,5 ცენტნერი თივა.

დრო გადის. ზოგან კი მთელი სერიოზულობით არ ეკიდებიან თივის სადაზღვევო მარაგის დროზე შექმნას. „კომუნისტის“ მკითხველები ჩრდილოეთ კავკასიის საზამთრო საძოვრებიდან იტყობინებიან, რომ საკვების დაგროვების საქმეში ზოგიერთი კოლმეურნეობა არ იჩენს სათანადო დაინტერესებას და ეს სამუშაო თვითდინებაზეა მინდობილი. 1 ოქტომბრისათვის ლენინგორისა და დუშეთის რაიონების ცალკეულ კოლმეურნეობებს თივის დაგროვების გეგმა მთლიანად არ ჰქონდათ შესრულებული. მომთაბარე მეცხოველეობის რაიონების მუშაკებმა ყოველი ღონისძიებით უნდა დააჩქარონ საკვების სადაზღვევო მარაგის დაგროვება, მიაღწიონ იმას, რომ თივა მთლიანად იქნას დაზვინული და მიზიდული პირუტყვის საზამთრო სადგომებთან.

გადაუდებელი ამოცანაა მეცხოველეობის სადგომების სრულ წესრიგზე მოყვანა. მომთაბარე რაიონების ზოგიერთმა კოლმეურნეობამ გააჭიანურა სადგომების რემონტი, ზამთრისათვის მზადება. ასეთი მდგომარეობა შეუწყნარებელია. მეცხვარეობის განვითარების ინტერესები მოითხოვს, რომ ეს სამუშაო ყველა რაიონმა სწრაფად დაამთავროს.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და საქართველოს მეცხოველეობის სამინჭანო სადგურმა მეტი დახმარება უნდა გაუწიონ კოლმეურნეობებს ზამთრისათვის უკეთ მომზადებაში.

მომთაბარე მეცხოველეობის პრაქტიკამ ცხადყო, რომ კარგი ორგანიზატორული მუშაობით თავიდან იქნება აცილებული ცხვრის დანაკარგი მგზავრობის დროს. უწინარეს ყოვლისა საჭიროა გადასარეკ ტრასებზე უზრუნველყოთ პირუტყვის ვეტერინარულ-ზოოტექნიკური მომსახურების მაღალი დონე. ზოოტექნიკოსები და ვეტექიმები მოწოდებული არიან ქმედითი დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებს, დააწესონ მტკიცე „ონტროლი ამ სამუშაოსადმი და მიაღწიონ ყველა პროფილაქტიკური ღონისძიების ზუსტად შესრულებას.

პირუტყვის გადარეკისას ჩრდილოეთ კავკასიის ტრასაზე დიდი მნიშვნელობა აქვს ცეკავშირის მიერ დატარებითი ვაჭრობის კარგად მოწყობას. ამასთან საჭიროა ცეკავშირმა დააჩქაროს სამრეწველო და სასურსათო საქონლის საკმაო რაოდენობით შეტანა ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე. ცეკავშირისა და მისი სავაჭრო ქსელის მუშაკთა მოქნილ, ოპერატიულ მუშაობაზე მნიშვნელოვნად დამოკიდებულია მწყემსთა, ფერმების მუშაკთა სასურსათო და სამრეწველო საქონლით მომარაგების გაუმჯობესება.

მწყემსთა კულტურული მომსახურების გაუმჯობესების საქმეში ბევრი რამ დამოკიდებულია საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროზე. ამ სამინისტროს მუშაკებმა სათანადო დასკვნები უნდა გააკეთონ წინა წლების მწარე გაკვეთილებიდან, როცა საზამთრო საძოვრებზე მწყემსთა შორის კულტურულ-მასობრივი მუშაობა შემთხვევითს ხასიათს ატარებდა. კულტურის სამინისტროს მუშაკები მოწოდებული არიან ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე გადაჭრით გააუმჯობესონ მეცხოველეობის მუშაკთა კულტურული მომსახურება. ეს იმას ნიშნავს, რომ სისტემატურად მოაწყონ კინოსურათების ჩვენება, კვალიფიციური ლექციების, მოხსენებების წაკითხვა, უზრუნველყონ მეცხვარეობის ფერმები „მწყემსის ბიბლიოთეკით“. მათი სერიოზული მოვალეობაა შექმნან ყველა პირობა იმისათვის, რომ კოლმეურნეებს, რომლებიც ცხვარს აცილებენ და ზამთარში ყიზლარში რჩებიან, საშუალება ჰქონდეთ წაიკითხონ ახალი ჟურნალ-გაზეთები, მოისმინონ საინტერესო საუბრები ჩვენი ქვეყნისა და საზღვარგარეთის მნიშვნელოვან ამბებზე.

ცხვრის გადარეკის წარმატებას წყვეტენ კადრები, ადამიანები. ამ სერიოზულ საქმეში მონაწილეობს მწყემსთა დიდი არმია. მომთაბარე მეცხოველეობის რაიონების პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, მტს-ების დირექტორები და კოლმეურნეობათა გამგეობები ვალდებული არიან სწორად გაანაწილონ ძალები, გადამწყვეტ უბნებზე — მეცხოველეობის ფერმებსა და ბრიგადებში სამუშაოდ შეარჩიონ გამოცდილი, საქმის მცოდნე ადამიანები. მწყემსთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის სისტემატური ზრუნვა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების გადაუდებელი საქმეა. მათ შეუნელებელი კონტროლი არ უნდა მოაკლონ ცხვრის გადარეკის სამუშაოებს. ცხვარი საზამთრო საძოვრებზე უნდა გააცილონ პარტიის რაიონული კომიტეტებისა და რაისაბჭოების აღმასკომების პასუხისმგებელმა მუშაკებმა. ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე მწყემსთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მაღალ დონეზე მოწყობა პარტიული ორგანიზაციების საპატიო ამოცანაა. ამ დარგში სამუშაოდ საჭიროა შერჩეულ იქნან მასების ენერგიული ორგანიზატორები, რომლებიც იცნობენ მეცხვარეობის საჭირბოროტო საკითხებს და რომლებსაც უნარი შესწევთ დარაზმონ მასები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მიერ სოფლის მეურნეობის წინაშე დასახული დიადი ამოცანების შესასრულებლად. ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობა წარმატების საფუძველია.

გადარეკის პასუხსაგები სამუშაოები მიმდინარეობს იმ სასიხარულო დღეებში, როცა საბჭოთა ხალხი გაცხოველებით ემზადება ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 39-ე წლისთავის დღესასწაულისათვის. საკოლმეურნეო სოფლში დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობაა. იზრდება სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურებულთა რიგები. მეცხოველეობის მუშაკების საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების დროშას აწერია, რომ ისინი საუკეთესოდ მოეშზადებიან და გამოაზამთრებენ პირუტყვს, გაადიდებენ ხორცის, რძის, მატყლის წარმოებას.

ამხანაგო მეცხოველეობის მუშაკებო! მაღლა ასწიეთ საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების დროშა, დიადი დღესასწაულის — 7 ნოემბრისათვის თქვენი საუკეთესო საჩუქარი იქნება პირუტყვის ორგანიზებულად და უდანაკარგოდ გადარეკის მოწყობა. ნუ დაიშურებთ თქვენს ენერგიას, ცოდნასა და გამოცდილებას ყიზლარის საძოვრებზე ცხვრის სანმეურნეოდ გამოზამთრებისათვის, საქმით შეასრულეთ შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი.

ნ. ა. ბულგანინმა მიიღო იაპონიის პრემიერ-მინისტრი ბ-ნი იჩირო ხატოიამა

13 ოქტომბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა მიიღო იაპონიის პრემიერ-მინისტრი ბატონი იჩირო ხატოიამა.

ბატონ ხატოიამას ახლდნენ მიწათმოქმედებისა და მეტყევეობის მინისტრი იჩირო კონო, ელჩი სიუნიჩი მაცუმოტო, მინისტრთა კაბინეტის გენერალური მდივნის მოადგილე ტაკიძო მაცუმოტო და სხვა პირები.

მიღებას დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. ტ. ფედორენკო და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს შორეული აღმოსავლეთის განყოფილების გამგე ი. ფ. კურდიუკოვი. (საკდესი).

ბროშურად გამოიცა ამხ. ა. ი. მიქოიანის სიტყვა ჩინეთის კომუნისტური პარტიის VIII სრულიად ჩინეთის ყრილობაზე

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ ბროშურად გამოუშვა ამხ. ა. ი. მიქოიანის სიტყვა ჩინეთის კომუნისტური პარტიის VIII სრულიად ჩინეთის ყრილობაზე.

ბროშურა გამოცემულია მასობრივი ტირაჟით .(საკდესი).

რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის ოლქების, მხარეებისა და ავტონომიური რესპუბლიკების კოლმეურნეებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, პარტიულ და საბჭოთა მუშაკებს, ყველა მშრომელს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ ულოცავენ რუსეთის ფედერაციის კოლმეურნეებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, პარტიულ და საბჭოთა მუშაკებს, ყველა მშრომელს თვალსაჩინო წარმატებას მარცვლეულის წარმოების გადიდებისათვის ბრძოლაში — რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს ჩააბარეს 2 მილიარდი და 4 მილიონი ფუთი პური, ანუ 319 მილიონი ფუთით მეტი, ვიდრე გათვალისწინებულია სახელმწიფო გეგმით.

ამ სერიოზულ წარმატებათა მნიშვნელობა შეიძლება დავინახოთ იქიდან, რომ 1953 წელს მთლიანად საბჭოთა კავშირში დამზადებული იყო მთელი წლის განმავლობაში 2.010 მილიონი ფუთი პური.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ ეს წარმატებანი რუსეთის ფედერაციაში მარცვლეულის წარმოების გადიდებაში წარმოადგენს კოლმეურნეების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკების თავდადებული შრომის შედეგს პარტიისა და მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის დარგში დასახულ ღონისძიებათა შესრულებაში. უკანასკნელ სამ წელიწადში რუსეთის ფედერაციაში ათვისებულია 14,9 მილიონი ჰექტარი ახალი მიწები. წელს ბევრი ოლქის, მხარისა და ავტონომიური რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში კარგი მოსავალი მოიყვანეს. მოსავლის აღებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში მრავალმა ასეულ ათასობით კოლმეურნემ, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშამ, აგრეთვე ქალაქების მშრომელმა, მოსწავლე ახალგაზრდობამ და საბჭოთა არმიის მეომარმა, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს მოსავლის აღებაში, გვიჩვენა თავდადებული შრომის მაგალითი და მთელი საბჭოთა ხალხის სიყვარული და პატივისცემა მოიპოვა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო რუსეთის ფედერაციის კოლმეურნეებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, პარტიულ და საბჭოთა მუშაკებს, ყველა მშრომელს უსურვებენ შემდგომ წარმატებას რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის აღმავლობაში და რწმენას გამოთქვამენ, რომ ისინი თავიანთი თავდადებული შრომით ახალ წვლილს შეიტანენ მარცვლეულის, ხორცის, რძისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდების საქმეში, რათა ჩვენს ქვეყანაში შეიქმნას სურსათის სიუხვე მოსახლეობისათვის და ნედლეულისა მრეწველობისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

საბჭოთა საქართველოს დღე

★ ★ ★ ★

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება

მეჯი ლითონდამამუშავებელი ჩარხები სამშობლოს

წარმატებით დაამთავრა მიმდინარე სამეურნეო წლის სამი კვარტალი თბილისის კიროვის სახელმბრის ჩარხმშენებელი ქარხნის კოლექტივმა. ჩარხმშენებლებმა ცხრა თვის საწარმოო გეგმა 100,3 პროცენტით შეასრულეს.

ამუამად ქარხნის კოლექტივი დიარაზმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 39-ე წლისთავისათვის ახალი წარმატებების მოსაპოვებლად. ჩარხმშენებლებმა ვალდებულება აიღეს ოქტომბრის გეგმა შეასრულონ 103 პროცენტით, დაამზადონ და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში გაგზავნონ 40 ჩარხი, მათ შორის 18 სპეციალური დანიშნულებისა, შრომის ნაყოფიერება გაზარდონ 2 პროცენტით, მეოთხე კვარტალში მოამზადონ 50 ახალი მუშა, ხოლო კვალიფიკაცია აუმაღლონ 70-ს.

ჩარხმშენებლები თავდადებით იბრძვიან აღებული ვალდებულებების გასანაღდებლად.

მაღალი მთის მაღაროში

სტალინირი. (საქდესი). კვაისის მაღაროთასმმართველოს ახალგაზრდა კოლექტივი აფართოებს მადნის აღნობის ფრონტს და ამავე დროს ადიდებს ტყვიისა და თუთიის ამოღებას. გააჩაღეს რა საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება, მაღაროელებმა შეასრულეს ცხრა თვის გეგმა და 5 პროცენტით დადაჟარბეს კონცენტრატების გამოშვების შარშანდელ დონეს. საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებულია ახალი შრომითი წარმატება. ტყვია-თუთიის მადნიდან თუთიის მიღებამ 75 პროცენტს მიაღწია ნაცვლად დავალებით გათვალისწინებული 60 პროცენტისა, ხოლო ტყვიის მიღებამ ნორმას 6 პროცენტით გადაჟარბა.

მუშობის ხარისხობრივი მაჩვენებლების მნიშვნელოვანი გადიდება შესაძლებელი გახდა გამაუხვებელი ფაბრიკის რეკონსტრუქციის მეოხებით, სადაც დადგმულია ახალი მძლავრი საფლოტაციო მანქანები და კონვეიერები. შრომატევადი პროცესების სრულმა მექანიზაციამ ფაბრიკის სიმძლავრე ერთნახევარჯერ გაადიდა და სხვა სამუშაოებისათვის გაათავისუფლა ასზე მეტი მუშა.

თავდადებით შრომობენ მაღალი მთის მაღაროს მაღაროელები, რომლებიც ეჯიბრებიან ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ მაღაროელებს. კვაისში გაიზარდნენ მუდმივი ადგილობრივი კვალიფიციური კადრები, მბურღავმა ა. ხუგაევმა ფართოდ გამოიყენა მრავალსანგრევიანი და მრავალპერფორატორიანი ბურღვა. დღესასწაულის წინა დღეებში იგი დავალებას 170-180 პროცენტით ასრულებს. ჩინებულად აითვისა ახალი დიდი წარმადობის საფლოტაციო მანქანები ფლოტატორმა გ. ხუგაევმა. ყოველდღე იგი ერთნახევარ ნორმას ასრულებს.

არ ჩამორჩებიან მშენებლებიც, რომლებმაც სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიური გეგმა ექვს თვეში შეასრულეს. გეგმის გადამეტებით შენდება ორი მრავალსართულიანი სახლი, კლუბი 250-ადგილიანი დარბაზით, ახალი სანაპირო. ოქტომბრის 39-ე წლისთავისათვის მწყობრში ჩადგება კვაისის სათვალავით მეოთხე ელექტროსადგური. მაღალი მთის დაბის ბევრი შენობის კედელი ამოიყვანა კალატოზმა ა. ხუტაშვილმა. დგას რა საოქტომბრო ვახტზე, იგი ცვლაში სამ ნორმამდე ასრულებს.

საქართველოს ჰიგიენისტთა და სანიტარულ ექიმთა პირველი ყრილობა

საქართველოს ჰიგიენისტთა და სანიტარულ ექიმთა პირველი ყრილობის მესამე პლენარულ სხდომაზე, რომელიც 12 ოქტომბერს საღამოს გაიმართა, გრძელდებოდა ჰიგიენისა და სანიტარიის აქტუალური საკითხების განხილვა. მოსმენილ იქნა მოხსენებები: პროფესორ ლ. შაბადისა (ლენინგორადი) — კიბოს პროფილაქტიკის საკითხები (ექსპერიმენტული მონაცემების მიხედვით) და მისი მნიშვნელობა ჰიგიენის ზოგიერთი დარგისათვის, პროფესორ ა. მაკარიჩევისა (მოსკოვი) — კვება და უმაღლესი ნერვული მოქმედება, პროფესორ გ. ფიცხელაურისა — საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვა და სიცოცხლის ხანგრძლივობის პრობლემა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ბ. წერეთლისა — სასოფლო-სამეურნეო ტრავმატიზმის მდგომარეობა აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკებში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

12 ოქტომბერსვე მოსმენილ იქნა საქართველოს ჰიგიენისტთა რესპუბლიკური საზოგადოების გამგეობის ანგარიში (მოხსენებელი პროფესორი გ. ნათაძე) და სარევიზიო კომისიის ანგარიში (მოხსენებელი მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ი. შენგელია). არჩეულ იქნა საზოგადოების გამგეობა და სარევიზიო კომისია.

13 ოქტომბერს დღისით მუშაობა დაიწყო სექციებმა, რომლებშიც ჯანმრთელობის დაცვისა და მედიცინის ისტორიის, შრომის ჰიგიენისა და პროფესიული პათოლოგიის, კომუნალური ჰიგიენის, კვების ჰიგიენის, ბავშვთა და მოზარდთა ჰიგიენის საკვანძო საკითხებზე მოსმენილ იქნა 60-ზე მეტი მოხსენება.

შორეულ გზაზე...

საზაფხულო იალაღებიდან ცხვარი შშობლიური სოფლის მთებს მოადგა. უკან დარჩა შშვიდი, მაგრამ მრისხანე ყელის ტბა, დიდი და პატარა გალადურის მთები, ერმანის ალპური და სუბალპური საძოვრები. აქ, სოფლის მიდამოებში, კვლავ გაისმა ცხვრის ბღავილი, მეცხვარეთა ომახიანი შეძახილები.

ლენინგორის რაიონის მეცხვარეობის კოლმეურნეობებში დაიწყეს ცხვრის მეორე პარსვა, ფარების გადათვლა, შორეული მგზავრობისათვის მზადებას შეუდგნენ თვით მწყემსები. კოლმეურნეობებმა ისინი მოამარაგეს თბილი ტანსაცმლით და ფეხსაცმლით, ინვენტარით.

მაგრამ ეს ხომ საქმის ერთი მხარეა. განა პატარა სამუშაოები იყო ჩასატარებელი საზამთრო საძოვრებზე? იქ ხომ ათეულ ათასობით ცხვარი მივა გამოსაზამთრებლად! ცხვრისათვის აუცილებელია თივის სადაზღვევო მარაგი, თბილი სადგომები. როცა მამაცი მეცხვარეები ცხვრის ფარებს საზაფხულო იალაღებზე მწყემსავდნენ, კოლმეურნეთა ერთი ნაწილი ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე თივას ამზადებდა, სადგომებთან გადაჭერდა.

ცხვარი უკვე დაიძრა საზამთრო საძოვრებისაკენ. ლენინგორელთა 60-ათასიანი ფარა გადაივლის შშობლიურ მთებს, გაივლის დარიალის ვიწროებს, გროზნოს ოლქს. ნახევრად უდაბნოებს და საზამთროდ ნოყიერ საძოვრებზე დაბანაკდება. 600 კილომეტრი უნდა გაიაროს ცხვარმა ძოვებით. ეს მეტად რთული და პასუხსაგები პერიოდია მეცხვარეთა ცხოვრებაში. შორი გზა მოითხოვს მეცხვარეობის საქმის ღრმად ცოდნას, სიძნელეებთან ბრძოლის უნარს, გამძლეობას. მაგრამ ლენინგორელ მეცხვარეებს სიძნელეებისა როდი ეშინიათ. მათ პირველად ხომ არ უხდებათ საზამთრო საძოვრებზე მოგზაურობა? ვინ მოსთვლის, რამდენი მეცხვარე ათეული წლების განმავლობაში თან სდევს ცხვარს. აგერ ცხვრის გასაცილებლად გამოწყობილა სოფელ პავლიანის კოლმეურნეობის მეცხვარე საბა თინიკაშვილი. მას 40 წელი გაუტარებია ცხვარში, 40-ჯერ მოუვლია ყიზლარის საზამთრო საძოვრები.

მიდის ყიზლარის საძოვრებზე სოფელ უკანამზარის კაჯანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის 12-ათასიანი ფარა. უკანამხრელებს მეცხვარეობის ოსტატებს უწოდებენ რაიონში. წელს მათ 4.000 სული ბატკანი გადმოიყვანეს საზაფხულო იალაღებზე. კოლმეურნეობის გამგეობისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციის თაოსნობით აქ მთელი ძალით გაიშალა ბრძოლა ცხვრის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის — უკანამხრელთა ცხვრის ფარის ნახევარზე მეტი ნახევრადნაზმატყლიანია. კოლმეურნეობამ თვითეულ ცხვარზე 3,2 კილოგრამი მაღალხარისხოვანი მატყლი მიიღო. აი, ცხვარს მისდევენ გამოცდილი მეცხვარეები შიო თეზელაშვილი, გიორგი ბაშარული, ნიკოლოზ და შალვა შიუკაშვილები, მრავალი ახალგაზრდა მეცხვარე.

მოღონიერებული ცხვარი ძოვებით მისდევს გზას. ერთი კოლმეურნეობის ცხვარს მეორე კოლმეურნეობის ფარები მოსდევს. დაიძრა სოფლების დადიანეთის, ბალაანის, ლარგვისის, პავლიანის და სხვა კოლმეურნეობათა ფარები.

საზეიმოდ გამოწყობილი მთიულები გულთბილად ეშვიდობებიან მწყემსებს, უსურვებენ მათ კეთილ მგზავრობას და შშობლიურ სოფელში წარმატებით დაბრუნებას. მწყემსებს თან მიაქვთ რაიონული ორგანიზაციების მიერ საჩუქრად მიტანილი სანადირო თოფები, პატფონები, მხატვრული და პოლიტიკური ლიტერატურა, მეცხვრისათვის აუცილებელი და საჭირო ინვენტარი.

ორი ათეული დღის შემდეგ ლენინგორელთა ცხვარი ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე გაიშლება.

ცხვრის საუკეთესოდ გამოზამთრება ლენინგორელებს ავალებს უზრუნველყონ პირუტყვი უზვი საკვებით, კარგი სადგომებით. ამავე დროს უხეში საკვების სადაზღვევო მარაგის დამზადებისა და ადგილზე მიზიდვის მხრივ ცალკეულ კოლმეურნეობებს ჯერ კიდევ სერიოზული მუშობა მოელის.

ლენინგორელ მშრომელთა ამოცანაა უდანაკლოდ მიიყვანონ ცხვარი დანიშნულების ადგილას, კარგად გამოზამთრონ იგი.

ი. თედიაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

გარდაბნის რაიონმა შეასრულა მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების გეგმა

გარდაბნის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 4 ოქტომბრისათვის ვადაზე ადრე გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარების გეგმა.

რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა ჩაბარების გეგმები შეასრულეს: ხორცისა — 102 პროცენტით, რძისა — 102 პროცენტით, მატყლისა — 143 პროცენტით, კვერცხისა — 100 პროცენტით.

რაიონის კოლმეურნეობებმა 1 ოქტომბრისათვის შეასრულეს აგრეთვე მეცხოველეობის სულადობის გეგმა. (საქდესი).

თვითმფრინავ ტუ-104-ის რეგულარული რეისები თბილისი-მოსკოვის ფრასზე

15 ოქტომბრიდან, ყოველ ორშაბათს რეაქტიული კომფორტაბელური თვითმფრინავი ტუ-104 იფრენს მოსკოვი-თბილისის ტრასზე. თვითმფრინავი თბილისში ჩამოვა 11 საათსა და 30 წუთზე, თბილისიდან გავა 12 საათსა და 55 წუთზე მოსკოვის დროით. თვითმფრინავი ამ მანძილს გადის 2 საათსა და 30 წუთში.

მიმდინარე წლის 15 ოქტომბრიდან შემოღებულია სამგზავრო ბილეთის საერთო ღირებულების 10 პროცენტით შეღავათი, თუ მგზავრი ბილეთს შეიძენს ორივე მიმართულებით — იქით და აქეთ. აქეთ გამოსაბრუნებელი ბილეთის ვარგისობის ვადა 45 დღეა. (საქდესი).

პირველ ადგილზე რესპუბლიკაში

ცხაკაია. (საკ. კორ.). ტუნგოს დამზადების ცხაკაიას სარაიონთაშორისო კანტორამ (დირექტორი ხ. როგავა) 157,7 პროცენტით შეასრულა ტუნგოს ნაყოფის დამზადების დავალება და ამ მაჩვენებლებით პირველი ადგილი მოიპოვა ჩვენს რესპუბლიკაში. მას მიეკუთვნა გარდამავალი წითელი დროშა.

ვეღური ხიდის შეგროვების ერთთვიური

კომკავშირის თელავის რაიკომის ინიციატივით აქ მოეწყო ველური ხილის შეგროვების ერთთვიური, რომლის განმავლობაში შეგროვდა და დამამზადებელ ორგანიზაციებს ჩაბარდა 18 ტონა მაჟალო, პანტა და შინდი.

ნაფარეულის და ფშავლის საშუალო სკოლების მოსწავლეებმა სამ-სამი ტონა ველური ხილი შეაგროვეს (საქდესი).



ლენინგორის რაიონის სოფელ დადიანეთის კოლმეურნეობის ცხვრის ფარას მიერეკებიან ყიზლარის საზამთრო საძოვრებისაკენ. ფოტო ვ. უბოჟენკოსი.

უზბეკეთის ინტელიგენციის ყრილობა

ტაშკენტი, 12 ოქტომბერი. (საკადესი). გუშინ აქ გაიხსნა უზბეკეთის ინტელიგენციის ყრილობა, რომელზეც მოხსენება „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი და უზბეკეთის ინტელიგენციის ამოცანები“ გააკეთა უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ა. მუხიტდინოვმა.

ამხ. მუხიტდინოვმა აღნიშნა, რომ უზბეკეთის ინტელიგენციის ყრილობა შეიკრიბა საბჭოთა ხალხის უდიდესი შემოქმედებითი მუშაობის ვითარებაში, რომელიც იბრძვის პარტიის XX ყრილობის დიად წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის. საბჭოთა ინტელიგენცია, რომელიც აღზარდა კომუნისტურმა პარტიამ და უსაზღვროდ ერთგულია ხალხის ინტერესებისა, მუდამ აქტიურ მონაწილეობას იღებდა კომუნისტურ მშენებლობაში. დიდი ოქტომბრის მიერ მონობისაგან განთავისუფლებულმა უზბეკებმა, ყაზახებმა, ტაჯიკებმა, თურქმენებმა, ყირგიზებმა და ყარაკალფაკებმა, ისევე როგორც ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხმა, უჩვენეს მთელ მსოფლიოს, რომ, დაადგნენ რა სოციალისტური განვითარების გზას, მათ უნარი შესწევთ დიდად წასწიონ წინ მოწინავე კულტურა და ცივილიზაცია, აღაფრთოვანონ თავიანთი მაგალითით საზღვარგარეთის აღმოსავლეთის ხალხები. წარმატებანი კომუნისტურ მშენებლობაში საბჭოთა კავშირის ყველა სოციალისტური ერისა და ეროვნების ერთობლივი ღონისძიებების, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დიადი ლენინური პრინციპების საფუძველზე მათი შემოქმედებითი თანამშრომლობის შედეგია.

თანამედროვე იმპერიალიზმის იდეოლოგები საეჭვოდ ხდიან საბჭოთა ეროვნული რესპუბლიკების სუვერენობასა და მიღწევებს.

მოკავშირე რესპუბლიკების საბჭოთა სახელმწიფოებრიობის განვითარების, ეკონომიური და კულტურული აყვავების ფაქტები აბათილებენ ყველა მათ ცილისმწამებლურ მონაჭორს. საბჭოთა უზბეკეთის, ისევე როგორც ყოველი საბჭოთა რესპუბლიკის სუვერენიტეტი ემყარება ხალხის რევოლუციურ ნებას, რომელიც ახორციელებს თავის ტერიტორიაზე უმაღლეს ხელისუფლებას და განაგებს მთელ თავის საქმეებს მის მიერ არჩეული და მისდამი ანგარიშვალდებული მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მეშვეობით.

უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაშია 424 დეპუტატი, ხოლო ადგილობრივ საბჭოებში — 42 ათასი დეპუტატი. ისინი რესპუბლიკის მშრომელთა ყველა ფენის, უზბეკეთის ყველა ეროვნების წარმომადგენლები არიან. ეს მკაფიოდ ადასტურებს სახელმწიფო ხელისუფლების ჩვენი ორგანოების ღრმა ხალხურობას, ნამდვილ დემოკრატიულობას. მოკავშირე რესპუბლიკები ფართოდ არიან წარმოდგენილი აგრეთვე სსრ კავშირის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში. სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში ჩვენი რესპუბლიკიდან არის 57 დეპუტატი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს თვითეულ მუდმივ კომისიაში შედიან უზბეკეთის დეპუტატები.

უზბეკეთისა და შუა აზიის სხვა საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიკისა და კულტურის განვითარების მაგალითით ამხ. მუხიტდინოვი ცხადყოფს კომუნისტური პარტიის ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებას.

თუ რევოლუციამდელ კოლონიურ უზბეკეთში მხოლოდ რამდენიმე ბამბის საწმენდი და ზეთსახდელი ქარხანა, მთელი რიგი ნახევრადკუსტარული საწარმო და რკინიგზის სახელოსნო იყო, ახლა რესპუბლიკაში არის ათობით დიდი საწარმო, იგი უშვებს ლითონს, სასოფლო-სამეურნეო და საფეიქრო მანქანებს, ექსკავატორებს, ბამბის საკრეფ მანქანებს, ჰიდროტუმბოებსა და არხის გასაყვან მანქანებს, ამწეებს, სართავ მანქანებსა და ბევრ სხვა რამეს.

უდიდესი წარმატებებია მიღწეული რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარებაში. 1913 წელთან შედარებით სარწყავი მიწების ნათესი ფართობი 800 ათასი ჰექტარით გადიდდა. ამჟამად უზბეკეთი აწარმოებს იმდენ ბამბას, რამდენსაც აწარმოებენ ბრაზილია, პაკისტანი, თურქეთი და ირანი ერთად. რესპუბლიკა იძლევა ერთნახევარჯერ მეტ აბრეშუმის პარკს, ვიდრე ბრაზილია, საფრანგეთი, თურქეთი, ირანი, საბერძნეთი, ესპანეთი, ლიბანი, ინდოჩინეთი, ბელგიის კონგო ერთად. ლაფნეული კულტურების წარმოების მხრივ რესპუბლიკას მეორე ადგილი უკავია მსოფლიოში ინდოეთის შემდეგ.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღმავლობას თან ახლდა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესება, კულტურის სწრაფი განვითარება. რევოლუციამდე ადგილობრივ მოსახლეობაში წერაკითხვის მცოდნე მხოლოდ ორი პროცენტი იყო. ახლა უზბეკეთში განხორციელდა საყოველთაო შვიდწლიანი სწავლება, შეიქმნა სკოლების ფართო ქსელი, გაიხსნა 34 უმაღლესი სასწავლებელი და ბევრი ტექნიკუმი, მუშაობს ათასობით კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება. უმაღლესი განათლების განვითარების მხრივ უზბეკეთმა ბევრად გაუსწრო წინ უცხოეთის აღმოსავლეთის ქვეყნებს. დიდად განვითარდა მეცნიერება. ახლა რესპუბლიკაში არის დაახლოებით ექვსი ათასი მეცნიერი მუშაკი, მეცნიერებათა აკადემია და ასამდე სამეცნიეროსაკვლევი დაწესებულება.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ჯანმრთელობის დაცვას. ამჟამად ექიმთა რიცხვი უზბეკეთში ყოველ ათას მოსახლეზე მეტია, ვიდრე ისეთ დიდ კაპიტალისტურ ქვეყნებში, როგორიც არის ინგლისი, საფრანგეთი, იაპონია და სხვები.

ყველაზე დიდმნიშვნელოვანი ის არის, რომ საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოხდა ნამდვილი კულტურული რევოლუცია ხალხის ყოფაცხოვრებასა და შეგნებაში, გაიზარდნენ შესანიშნავი კულტურული ადამიანები, რომლებიც პარტიამ აღზარდა კომუნისტური იდეალებისადმი ერთგული სამსახურის სულისკვეთებით. ყველა ეს მიღწევა შესაძლებელი გახდა მხოლოდ სოციალისტური წყობილების პირობებში.

საბჭოთა უზბეკეთის წარმატებანი სავსებით თვალსაჩინოა არა მარტო ჩვენთვის, საბჭოთა ადამიანებისათვის, არამედ, აგრეთვე უცხოეთის სახელმწიფოთა ყველა უწინაზრახვო წარმომადგენლისათვის, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკაში იყვნენ. არგენტინის კულტურის მოღვაწემ ლეონ შუხმანმა, რომელიც ჩვენს რესპუბლიკას ეწვია დელეგაციასთან ერთად 1956 წლის მაისში, შემდეგი განაცხადა:

„უზბეკეთი აყვავებული ბაღის შთაბეჭდილებას ახდენს... ჩვენ დავრწმუნდით იმ კოლოსალურ მუშაობაში, რომელმაც ჩამორჩენილი მხარე და ექსპლოატირებული ხალხი გადააქცია პირველხარისხოვანი ინდუსტრიის, თანამედროვეულად განვითარებული სოფლის მეურნეობისა და ეროვნული კულტურის მქონე მოწინავე ერად.

...ჩვენ უზბეკეთში ვნახეთ იმის ცოცხალი მაგალითი, თუ რა მშვენივრად გადაჭრა სოციალიზმმა ეროვნული საკითხი საბჭოთა კავშირში და ეს უდიდესი ქვეყანა გადააქცია ერთიან ორასმილიონიან ოჯახად, რომელშიც თვითეული ხალხი სარგებლობს არა მარტო პატივისცემით, არამედ აქვს თავისი ხელოვნების, თავისი ენის, თავისი ეროვნული ტრადიციების განვითარების სტიმული და სარგებლობს ძმური დახმარებით...“.

წლითიწლობით ფართოვდება და მტკიცდება უზბეკეთის კულტურული ურთიერთობა უცხოეთის ქვეყნებთან. ეს მოწმობს მოკავშირე რესპუბლიკების მზარდ როლს საერთაშორისო ურთიერთობის განვითარებასა და მშვიდობის საქმის განმტკიცებაში. მარტო უკანასკნელი წელიწადნახევრის განძილზე უზბეკეთში იყო სსრ კავშირისტუმრად მყოფი ჩინეთის, ინდოეთის, სირიის, ინდონეზიის, ნორვეგიის, ჰოლანდიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, ურუგვაის, არგენტინის, ეგვიპტისა და ბევრი სხვა ქვეყნის უცხოელთა სხვადასხვა დელეგაციის ათასობით წევრი. უზბეკეთის სს რესპუბლიკას ეწვივნენ შვეიცის, ირანის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პაკისტანის, დანიის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, ნორვეგიის საპარლამენტო დელეგაციები, აგრეთვე ისეთი თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწეები, როგორიც არიან ჯავაჰარლალ ნერუ, სუკარნო, უ ნუ, სერვაპალი რადჰაკრიშნანი. უზბეკეთში იყო აგრეთვე ირანის შაჰინშაჰი მუჰამედ რეზა ფეჰლევი.

თავის მხრივ უზბეკეთის სპეციალისტთა, მეცნიერთა და მთავრობის წევრთა მნიშვნელოვანმა რიცხვმა მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო ყრილობებსა და კონფერენციებში და სხვადასხვა დელეგაციის შემადგენლობაში ეწვია უცხოეთის 30 ქვეყანას.

უკანასკნელ წლებში კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ განახორციელეს მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მოკავშირე რესპუბლიკების შემდგომ აყვავებას, ადიდებენ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების როლს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობაში. მთელ რიგ რესპუბლიკებში შეიქმნა ახალი სამინისტროები. საკავშირო დაქვემდებარებიდან უზბეკეთის სსრ გამგებლობაში გადაცემულია ათობით სამრეწველო საწარმო.

ამხ. მუხიტდინოვი დაწვრილებით შეეხო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების ამოცანებს მეექვსე ხუთწლედში.

ხუთწლედში უზბეკეთის მრეწველობის საერთო პროდუქცია გაიზრდება დაახლოებით 1,6-ჯერ და 1960 წელს იქნება დაახლოებით 33 მილიარდი მანეთი. შემდგომ განვითარდება მრეწველობის დარგები, რომლებიც დაკავშირებული არიან მებამბეობასთან, პირველ რიგში სასოფლო-სამეურნეო და საფეიქრო მანქანათმშენებლობა, მინერალური სასუქების წარმოება, ბამბის საწმენდი და ზეთსახდელი მრეწველობა. ქვანახშირის ამოღება 1960 წელს გადიდდება ექვს მილიონ ტონამდე, ნავთობისა — 1,5-ჯერ, ცემენტის წარმოება — ერთისამად. დაიწყება ანგრენის უდიდესი აზოტოვანი სასუქის ქარხნის აგება, დამთავრდება კუვასაის ცემენტის ქარხნის რეკონსტრუქცია და ფერგანის ნავთობსახდელი ქარხნის მშენებლობა. ელექტროენერგიის გამომუშავება აყვანილ იქნება ექვს მილიარდ კილოვატსაათამდე. მომავალ წელს მწყობრში ჩადგება შუა აზიის უდიდესი ანგრენის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის პირველი რიგი. მალე მოგვცემს დენს კაირაყუმის ჰესი „ხალხთა მეგობრობა“, როგორც მას უწოდეს უზბეკმა და ტაჯიკმა ხალხებმა. წარმოებს ჰიდროელექტროსადგურების დაპროექტება და აგება მდინარეებზე ნარინსა და ჩირჩიკზე და გოლოდნაია სტეპში.

სწრაფი ტემპით განვითარდება სოფლის მეურნეობა, განსაკუთრებით მისი წამყვანი დარგი — მებამბეობა. ბამბის მთლიანი მოსავალი 1960 წელს მიაღწევს 3.700 ათას ტონას. ბამბის წარმოების მკვეთრი გადიდება მოხდება მოსავლიანობის შემდგომი ზრდით ბამბის ნათესების მოვლის აგროტექნიკის გაუმჯობესების საფუძველზე, აგრეთვე ნათესი ფართობების გადიდებით. საუკეთესოებით ოცნებობდა უზბეკი ხალხი გოლოდნაია სტეპის მიწების თვალუწვდენი სივრცეების ათვისებაზე. ახლა შორს არ არის ის დრო, როცა პარტიისა და ხალხის ნებით გოლოდნაია სტეპი გადაიქცევა აყვავებული ნაყოფიერების რაიონად — მებამბეობის უდიდეს ბაზად.

შემდგომ განვითარდება სოფლის მეურნეობის სხვა დარგებიც. გადიდდება ხორცის, რძის, მატყლის, კრაველის, აბრეშუმის პარკის, მარცვლეულის, ბრინჯის, ლაფნეული კულტურების, თამბაქოს წარმოება.

ბევრი რამ გაკეთდება სახელმწიფო საბინაო მშენებლობის ხაზით. 1956-1960 წლებში განზრახულია აშენდეს 2 მილიონ 400 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

ამხ. მუხიტდინოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყველა ამ ამოცანის გადაჭრაში განსაკუთრებით დიდია ინტელიგენციის როლი. იგი ამბობს, რომ მეცნიერებმა, ინჟინრებმა, აგრონომებმა მტკიცედ უნდა დანერგონ მეცნიერების, ტექნიკისა და მოწინავე გამოცდილების უახლესი მიღწევები, გაუმჯობესონ წარმოების ორგანიზაცია, მიაღწიონ ამ საფუძველზე ტექნიკურ პროგრესს, შრომის ნაყოფიერების სწრაფ გადიდებას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასა და მისი თვითღირებულების შემცირებას. მშრომელები მოელიან არქიტექტორებისაგან, დამპროექტებლებისა და მშენებლებისაგან ისეთ შენობათა და ნაგებობათა შექმნას, რომლებშიც მოხერხებული ექსპლოატაცია და ეკონომიურობა შეხამებული იქნება გარეგნულ მიმზიდველობასთან. კონსტრუქტორებმა მეცნიერებთან თანამშრომლობით უნდა შექმნან უფრო სრულყოფილი მანქანები სოფლის მეურნეობის, კერძოდ, მებამბეობის კომპლექსური მექანიზაციისათვის.

შეეხო რა მეცნიერების შემდგომი განვითარებისა და კადრების მომზადების საკითხებს, ამხ. მუხიტდინოვმა აღნიშნა, რომ უზბეკეთის მეცნიერებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საბჭოთა და მსოფლიო მეცნიერებაში. მომხსენებელმა შემდეგ დააყენა მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ამოცანები, რომელთა გადასაჭრელად უნდა იყოს მიმართული მეცნიერთა ღონისძიებანი.

უზბეკეთი მდიდარია ნედლეულის რესურსებით. ამავე დროს ეს რესურსები ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის გამოყენებული შავი და ფერადი მეტალურგიის განვითარებისათვის, ფართო მოხმარების საქონლის წარმოებისათვის.

უზბეკეთის სსრ მეცნიერებათა აკადემია დამაკმაყოფილებლად არ მუშაობს უმნიშვნელოვანესი მეცნიერულ-კვლევითი პრობლემების გადაჭრაზე.

მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტს, საბჭოთა კავშირის მებამბეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სოფლის მეურნეობის ეკონომიკის განყოფილებას, ტაშკენტის საფინანსო-ეკონომიურ ინსტიტუტს, უზბეკეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეცნიერებათა სამართველოს და სხვებს დღემდე არ მოუციათ სერიოზული მეცნიერული შრომები სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში. ცოტაა გამოშვებული ლიტერატურა მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების გადიდების საკითხებზე.

მოხსენების მნიშვნელოვანი ნაწილი ამხ. მუხიტდინოვმა მიუძღვნა უზბეკეთის ისტორიის მარქსისტულ-ლენინური დამუშავების საკითხებს. მეცნიერებათა აკადემიამ გამოუშვა „უზბეკეთის ხალხთა ისტორია“, აღმოსავლურ ხელნაწერთა აღწერილობის სამი ტომი, აბუ-ალი იბნ-სინას „საექიმო მეცნიერების კანონის“ ორი წიგნი, პროფესორ ს. პ. ტოლსტოვის „ძველხორეზმული ცივილიზაციის კვალზე“ და პროფესორ ყარა-ნიაზოვის „საბჭოთა უზბეკეთის კულტურის ისტორიის ნარკვევები“. გამოშვებულია რამდენიმე შრომა ძველ და საშუალო საუკუნეებში შუა აზიის ტერიტორიაზე მომხდარ სახალხო მოძრაობათა საკითხებზე.

— მაგრამ, ჯერ კიდევ არა გვაქვს სრულფასოვანი ნაშრომები, — თქვა ამხ. მუხიტდინოვმა, — რომლებშიც მარქსისტულ-ლენინური პოზიციებიდან იყოს გაშუქებული უზბეკი ხალხისა და შუა აზიის სხვა ხალხების მრავალსაუკუნოვანი ისტორია და მათი როლი აღმოსავლეთის ისტორიაში. შემდგომ, უფრო ღრმა დამუშავებას მოითხოვს შუა აზიის ხალხთა დემოკრატიული და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთან უზბეკი ხალხის მეგობრობის წარმოშობისა და განვითარების, უზბეკი სოციალისტური ერის შექმნისა და განვითარების საკითხები. დღემდე არა გვაქვს უზბეკეთის კომპარტიის ისტორია, დაფუძნებული პირველწყაროებზე.

უკანასკნელ წლებში უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტიის ისტორიის ინსტიტუტმა მნიშვნელოვანი მუშაობა შეასრულა უზბეკურ ენაზე მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაწარმოებთა თარგმნისათვის. გადათარგმნილია ვ. ი. ლენინის თხზულებათა 35 ტომი, სამტომიანი კრებული „სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში“, კარლ მარქსის „კაპიტალის“ პირველი ტომი და სხვ. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებებისა და უმნიშვნელოვანესი პარტიული დოკუმენტების თარგმნამ და გამოცემამ დიდი როლი შეასრულა რესპუბლიკის ცხოვრებაში, ინტელიგენციის კადრებისა და ყველა მშრომელის იდეურ-პოლიტიკურ აღზრდაში. მაგრამ თარგმანში არის ბევრი დამახინჯება, უზუსტობა, ტერმინოლოგიის, განმარტებებისა და ფორმულების სხვადასხვაობა.

ამხ. მუხიტდინოვი ამბობს, რომ საჭიროა მჭიდრო კავშირი დამყარდეს მეცნიერთა შორის შუა აზიის რესპუბლიკების ისტორიის დამუშავებაში, მოეწყოს ერთობლივი განხილვა, ურთიერთდახმარება ხალხთა და ეროვნულ კომპარტიათა ისტორიის სრულფასოვანი შრომების შექმნაში.

არსებითი ნაკლოვანებებია ჩვენი მეცნიერების ნიერ აღმოსავლეთის თანამედროვე ნდგომარეობის შესწავლაში. უცხოეთის აღმოსავლეთის, მთელი აზიის ხალხები მჩქეფარე პერიოდს განიცდიან თავიანთ ისტორიაში. მთელ კოლონიურ მსოფლიოში გაჩაღდა მძლავრი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ზედიზედ თავისუფლდებიან ქვეყნები კოლონიური დამოკიდებულებისაგან. უზბეკი აღმოსავლეთმცოდნეები საკმაოდ არ სწავლობენ უცხოეთის აღმოსავლეთის ქვეყნების ეკონომიკას, კულტურას, ისტორიას. ჯერ-ჯერობით არ არის მოგვარებული უზბეკეთის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერული კავშირი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან, მოკავშირე რესპუბლიკების აკადემიებთან, აგრეთვე ჩინეთის, ინდოეთის, პაკისტანის, ირანისა და აზიის სხვა ქვეყნების აკადემიებთან.

შემდეგ ამხ. მუხიტდინოვმა დაწვრილებითი ანალიზი გაუკეთა იდეოლოგიური მუშაობის მდგომარეობას რესპუბლიკაში. უკანასკნელ წლებში უზბეკეთში მნიშვნელოვნად გადიდდა გაზეთების, ჟურნალების, წიგნების გამოშვება, გაფართოვდა კლუბების, ბიბლიოთეკების, ქოხ-სამკითხველოებს, კულტურის სასახლეების ქსელი. მნიშვნელოვანი ნუშაობა შეასრულეს მწერლებმა, კომპოზიტორებმა, მხატვრებმა.

ამასთან ერთად, აღნიშნავს ამხ. მუხიტდინოვი, იდეოლოგიური მუშაობის დარგში სერიოზული ნაკლოვანებებიც გვაქვს. ჩვენი პრესა და რადიო ჩამორჩებიან ცხოვრების მოთხოვნებს, ღრმად არ აშუქებენ საბჭოთა ადამიანების შრომასა და ყოფაცხოვრებას, სუსტად ეხმარებიან პარტიულ ორგანიზაციებს სამეურნეო და კულტურული ამოცანების გადაჭრაში.

რესპუბლიკაში არის 3.200-ზე მეტი კლუბი და კულტურის სახლი, 3.400 პროფკავშირული და საკოლმეურნეო ბიბლიოთეკა. მაგრამ კულტურულ-მასობრივი მუშაობა ბევრ რაიონში დამაკმაყოფილებლად არ წარმოებს. ეს იხსნება უწინარეს ყოვლისა იმით, რომ კულტურის სახლების, კლუბებისა და ბიბლიოთეკების მუშაობაში ნაკლებად მონაწილეობს ინტელიგენცია.

დიდ ვალში არიან ხალხის წინაშე უზბეკი მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები. მათ მიერ შექმნილი ნაწარმოებნი ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებენ ცხოვრების გაზრდილ მოთხოვნებს. ნომხსენებელი დაწვრილებით შეეხო ნშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის საკითხებს.

— პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის გრძნობის დანერგვამ, — ხაზგასმით აღნიშნა მან, — კომუნისტური პარტიისაგან მოითხოვა ხანგრძლივი და ყოველმხრივი პოლიტიკური მუშაობა მასებში, ეროვნულ თავისებურებათა გათვალისწინება, ყოველივე იმის დანერგვა, რაც იწვევს ერთა შორის დაახლოებას და ურთიერთნდობას. ეს მუშაობა განსაკუთრებით რთული და ძნელი იყო ისეთ რესპუბლიკებში, როგორიც არის უზბეკეთი, სადაც წარსულში ცოტა სამრეწველო მუშები იყვნენ.

უზბეკეთის კომუნისტური პარტია, რომელიც ერთგულია პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშისა, იზრდებოდა და იწრთობოდა ბრძოლაში როგორც დიდმპყრობელური შოვინიზმის, ისე ადგილობრივი ნაციონალიზმის გამოვლინებათა წინააღმდეგ.

მაგრამ ცნობილია, რომ ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამოვლინებანი, განსაკუთრებით ნაციონალისტური გადმონაშთები, დიდხანს ცოცხლობენ. მათი დაძლევა შეიძლება მხოლოდ ღრმა ყოველდღიური პოლიტიკურ-აღმზრდელობითი ნუშაობით.

პიროვნების კულტის დაგმობასა და მისი უარყოფითი შედეგების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით ზოგი ვინმე უკვე ლაპარაკობს, რომ უზბეკეთში თითქოს არ ყოფილა წარსულში ნაციონალიზმი და ახლაც არ არის მისი გამოვლინებანი. ამგვარი განწყობილებანი ძირეულად მცდარი და საშიშია. ვიბრძვით რა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის გამოვლინების, ეროვნული შეზღუდულობისა და კუთხურობის გამოვლინების ყოველგვარი ფორმის წინააღმდეგ, ჩვენ ამავე დროს გადაჭრით უნდა აღვკვეთოთ ეროვნული პოლიტიკის დამახინჯების ყოველგვარი ფორმები, პატიოსანი ადამიანებისათვის დაუსაბუთებლად, ცილისმწამებლურად ბრალის დადება ნაციონალიზმში.

— უზბეკი ხალხი, — ხაზგასმით აღნიშნავს ამხ. მუხიტდინოვი, — მთელ თავის წარმატებებსა და გამარჯვებებს უნდა უმადლოდეს ლენინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელ განხორციელებას, ხალხთა შორის ნეგობრობას, მათს ძმურ ურთიერთდახმარებას. მართლაც, უზბეკეთის მანქანათმშენებელი მრეწველობა იქმნებოდა მოსკოვის, ლენინგრადის, ურალის სამრეწველო საწარმოთა ინჟინრების, ტექნიკოსებისა და სპეციალისტების დახმარებით. ნავთობის მრეწველობა წარმოიშვა ბაქოსა და გროზნოს მენავთობეთა დახმარებით. უზბეკეთის ქვანახშირის მრეწველობის შექმნაში უშუალო მონაწილეობას იღებდნენ დონბასის, კუზბასისა და ყარაგანდის მეშახტეები და სპეციალისტები. რესპუბლიკის საფეიქრო მრეწველობა წარმოიშვა ივანოვოს სახელოვანი ფეიქრების დახმარებითა და უშუალო მონაწილეობით. უწინარეს ყოვლისა რუსი ხალხი ეხმარებოდა უზბეკ ხალხს მოეხდინა კულტურული რევოლუცია, გაეხადა მოსახლეობა წერა-კითხვის მცოდნე, გამოეზარდა ეროვნული ინტელიგენცია.

უზბეკეთში მეგობრულად მუშაობენ უზბეკები და რუსები, ყარაკალფაკები და ყაზახები, ტაჯიკები და თურქმენები, უკრაინელები და ბელორუსები, თათრები და ყირგიზები, სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები. ეს გვავალებს გულისხმიერად და ყურადღებით ვეპყრობოდეთ უზბეკეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა ეროვნებას, ვითვალისწინებდეთ მათს ეროვნულ თავისებურებებსა და ნოთხოვნილებებს.

ამა თუ იმ მუშაკის, მიუხედავად მისი ეროვნებისა, ღირსების თუ ნაკლის შეფასებისას ძირითადი კრიტერიუმი უნდა იყოს მისი ნორალურ-პოლიტიკური სახე, საქმიანი თვისებები. არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავუკეთოთ შეღავათი ვისმე ეროვნული კუთვნილების გამო. კადრებისადმი დამოკიდებულება უნდა განისაზღვრებოდეს ინის მიხედვით, თუ როგორ მუშაობენ ისინი, როგორ ართმევენ თავს მინდობილ საქმეს, რამდენად პატიოსნად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას პარტიისა და ხალხის წინაშე.

მოკავშირე რესპუბლიკების, რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების უფლებათა გაფართოებასთან დაკავშირებით ჩვენ მოვალენი ვართ ყოველი ღონისძიებით ვავითარებდეთ რესპუბლიკური ორგანოების აქტივობას, ინიციატივას და ამავე დროს თვალყურს ვადევნებდეთ, რომ საერთო-სახელმწიფოებრივი ამოცანები არავითარ შემთხვევაში არ გადაიდოს მეორე პლანზე. ამას პირდაპირი კავშირი აქვს ნებამბეობასთანაც. უზბეკეთის მშრომელებს სამშობლოს წინაშე თავიანთ პატრიოტულ მოვალეობად მიაჩნიათ უწინარეს ყოვლისა ყოველი ღონისძიებით განავითარონ მებამბეობა. ნათი ინტერნაციონალური კავშირი სსრ კავშირის მოძმე ხალხებთან იმით გამოიხატება, რომ მათ სოციალისტური სახელმწიფოს ძალისა და ძლიერების განმტკიცებაში თავიანთი წვლილი შეაქვთ უწინარეს ყოვლისა ბამბის წარმოებით.

ნამდვილი პატრიოტი ის არის, ვინც თვითონ შინაგანად განწყობილია ინტერნაციონალურად, ხელს უწყობს თავისი ხალხის კავშირისა და მეგობრობის განმტკიცებას ყველა ხალხთან. ხალხთა მეგობრობის განმტკიცებას დიდ პოლიტიკურ ზიანს აყენებს ის, ვინც ქედმაღლურად, ყოყოჩურად ეპყრობა სხვა ხალხების კულტურას, ისტორიას, კარგ ტრადიციებს, ჩვეულებს, ენას, წარმატებებსა და მიღწევებს, ვინც ვიწრო ეგოისტურ ინტერესებს თავის ინტერნაციონალურ მოვალეობაზე მაღლა აყენებს.

ოქტომბრის რევოლუციამ გაათავისუფლა უზბეკი ქალი, მეცნიერებისა და კულტურის ფართო გზაზე გამოიყვანა იგი, შესაძლებლობა მისცა აქტიურად მონაწილეობდეს საწარმოო და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ჩვენში ათასობით უზბეკი ქალია მასწავლებელი და ექიმი, აგრონომი და ინჟინერი, მუშაობს ხელმძღვანელ სამუშაოზე მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტზე და კავშირგაბმულობაში, პარტიულ და სახელმწიფო აპარატში. საჭიროა კვლავაც უფრო გაბედულად ვაწინაურებდეთ ქალთა კადრებს პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ სამუშაოზე.

განსაკუთრებული მზრუნველობით უნდა ვეპყრობოდეთ ქალებს, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ მატერიალურ წარმოებაში, სახელმწიფო და საზოგადო საქმიანობაში და რომლებსაც, გარდა ამისა, მხრებზე აწევთ ძირითადად ზრუნვა ბავშვთა აღზრდისათვის, ოჯახში მყუდროების შექმნისათვის.

უზბეკეთის ინტელიგენცია უდიდეს არმიას წარმოადგენს. მის შემადგენლობაშია 25 ათასზე მეტი ინჟინერი და ტექნიკოსი, ... ათასი აგრონომი, ზოოტექნიკოსი და ვეტერინარი, 24 ათასი ექიმი და მედიცინის მუშაკი, 60 ათასზე მეტი მასწავლებელი, აგრეთვე მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა დიდი რაზმი. ამ მძლავრ ძალას შეუძლია სასწაულები მოახდინოს, თუ პარტიული ორგანიზაციები მას სწორად უხელმძღვანელებენ.

საჭიროა, უწინარეს ყოვლისა რაციონალურად გავანაწილოთ ინტელიგენციის ძალები სახალხო მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგში, ისე მოვაწყოთ საქმე, რომ რაც შეიძლება უფრო გონივრულად გამოვიყენოთ ჩვენი კადრები იმის შესაბამისად, თუ სად შეუძლიათ მათ ყველაზე დიდი შედეგი მოგვცენ.

მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტზე და კავშირგაბმულობაში, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, სამეცნიერო და საკვლევ დაწესებულებებში მომუშავე სპეციალისტებს უნდა შევუქმნათ ყველა საჭირო პირობა, რომლებშიც მათ შეეძლებათ მთელი თავიანთი ძალოონე მოახმარონ სასარგებლო, შემოქმედებითს შრომას.

ჩვენი პარტია იმარჯვებდა და იმარჯვებს თავისი ერთგულებით მარქსიზმ-ლენინიზმისადმი. საჭიროა გუნერგავდეთ ინტელიგენციის კადრებს კომუნისტურ მსოფლმხედველობას, შემოქმედებითს მიდგომას თეორიის შესწავლისადმი, შეურიგებლობას ყოველივე იმისადმი, რაც უცხოა მარქსიზმ-ლენინიზმისათვის. მთელი ჩვენი იდეოლოგიური მუშაობა მიმართული უნდა იყოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა ქმედითი პროპაგანდისაკენ, მჭიდროდ იყოს დაკავშირებული თვითეული საწარმოს, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, მტს-ის, თვითეული დაწესებულებისა და უწყების, თვითეული სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებისა და უმაღლესი სასწავლებლის პრაქტიკულ ამოცანებთან, ავითარებდეს ყველა მშრომელის ინიციატივასა და შემოქმედებითს აქტივობას მატერიალური წარმოების გადიდებაში და კულტურის შემდგომ აღმავლობაში.

უზბეკეთის კომუნისტური პარტიისა და მშრომელთა, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხის საქმიანობა, ამჟამად მთლიანად ექვემდებარება იმას, რომ მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის გეგმა. უზბეკეთის სსრ მრეწველობამ მიმდინარე წლის რვა თვის გეგმა 103 პროცენტით შეასრულა. რესპუბლიკამ შეასრულა სახელმწიფოსათვის მარცვლეულის, აბრეშუმის პარკის, კრაველის მაუდაკების ჩაბარების წლიური გეგმა. შესრულებულია რძისა და ხორცის დამზადებისა და შესყიდვის ნახევარი წლის გეგმა.

სასახელოდ იშრომეს კოლმეურნეებმა, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშებმა სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლაში — მიეცათ სამშობლოსათვის წელს სულ ცოტა სამი მილიონ ტონა ნედლი ბამბა.

დასასრულ ამხ. მუხიტდინოვი ამბობს:

— უზბეკეთის კომუნისტური პარტია, ინტელიგენცია და ყველა მშრომელნი ყოველთვის იყვნენ ჩვენი პარტიის გენერალური ხაზის ერთგულნი, მჭიდროდ დარაზმულნი

საუბარი მშენებლებთან

საღამო ჟამს, ტყიბულჰესის ყველა სამშენებლო უბნის ჩამოვლის შემდეგ ინჟინერი ირაკლი მღებრიშვილი მოგვითხრობდა:

— მეტად მიმზიდველია ჩვენი — მშენებლების პროფესია. აღმართ-დაღმართებში, კლდეებში, ხევებში, მთის კორტხებზე, ცუდსა და კარგ ამინდში ყოველდღე სიარული, გვირაბებში მბჟუტავ სანთლებზე, ტალახსა და გვირაბებისათვის დამახასიათებელ გამქვალავ ქარში ყოველდღე ყოფნა ერთობ ღლის კაცს. ზოგჯერ იტყვი: არ მინდა ასეთი პროფესია, რაიმე სხვა საქმეს მოვკიდებ ხელს... იტყვი, მაგრამ გათენდება თუ არა მეორე დღე, გული ისევ გუშინდელი მარშრუტით მიგიწევს, კაბინეტში გატარებული დრო გენანება. აქ ქაღალდებია, უწყებები, ხელმოსაწერი დოკუმენტები, იქ კი — ცოცხალი საქმე, და მშენებლობისაკენ მიიჩქარი.

როგორც ბავშვი იზრდება ხოლმე, ფეხს აიდგამს, დაიწყებს ტიკტიკს მშობლების გულგასახარებლად, ისე გვახარებს ჩვენ, — განაგრძობდა ინჟინერი, — მშენებლობის განვითარება, დიდი და პატარა, მნიშვნელოვანი და ნაკლებად მნიშვნელოვანი ყოველი მიღწევა. რა ბედნიერებაა, როცა მშენებლობა დამთავრდება, ობიექტი მუშაობას დაიწყებს და შენ, რომელმაც ამდენი შრომა და ენერგია შეალიე ამ მშენებლობას, ცარიელ ადგილზე რაღაც მნიშვნელოვანი, დიდი, სახალხო მეურნეობისათვის საჭირო რამ შექმენი, უყურებ, თუ როგორ მუშაობს შენ მიერ აგებული ობიექტი. აუწერელ, ენით გამოუთქმელ სიამაყეს გრძნობენ მაშინ მშენებლები, ნეტარების წუთებს განიცდიან ისინი და იწყებენ ოცნებას, თუ რომელ ახალ მშენებლობაზე წასვლას არგუნებს ბედი, რათა იქაც ასევე ინტერესით, თავდადებით ენთუზიაზმით იმუშაონ...

* * *

მანქანა „წინწკილას“ აღმართს შეუდგა. ყრუ ბუბუნითა და ქშენით ძლევდა ქარის წინააღმდეგობას, ხოლო ორი ინჟინერი, რომლებიც ამ მანქანას სტუმართან ერთად წყალსაცავის დასათვალიერებლად მიყავდა, საინტერესო თემაზე ურთიერთს თავიანთ მოსაზრებებს უზიარებდნენ.

— ჯერ კიდევ ვერ მივეჩვიეთ, ვერ ვახერხებთ ისეთი, შედარებით მცირეძალიანი, ჰიდროელექტროსადგურების ჩქარონსულად მშენებლობას, როგორიც ეს ჩვენი ტყიბულჰესია, — თქვა საქართველოს ჰიდროენერგომშენებლობის ტრესტის წარმომადგენელმა, ტყიბულჰესელების ნამუშევართა დასათვალიერებლად ჩამოსულმა ინჟინერმა სერგი კავკასიძემ.

— ასეთ სადგურს, — განაგრძობდა იგი, — ეს ხომ დაახლოებით სამი ზაჰესის სიმძლავრისაა, ჩვენ, რომელთაც ესოდენ გამოცდილი, დაოსტატებული კადრები გვყავს, ორ წელიწადში, სულ ბევრი სამ წელიწადში მაინც უნდა ვაშენებდეთ.

მეორე ინჟინერი, ტყიბულჰესის მშენებლობის უფროსი ვასო ყავლაშვილი, დინჯი მოთმინებით ისმენდა სამართლიანი საყვედურის კილოთი ნათქვამ სიტყვებს და ბოლოს თანამოსაუბრეს გადაჭრით უპასუხა:

— ეს ყოველივე სწორია, მშენებელთა ხელმძღვანელების მოუქნელობის შედეგია, მაგრამ ვადების გაჭიანურებაში წვლილი თქვენც — ჩვენს ხელმძღვანელებს, ტრესტს და ტრესტზე მაღლა მდგომ ორგანოებს, დამგეგმავებსა და დამფინანსებელებსაც მიგიძღვით. ზოგჯერ მიფიქრია — იქნებ მე თვითონ თავს ვერ ვართმევ საქმეს, მაგრამ ზოგ მშენებლობებზეც რომ არ არის კარგად საქმე? ყავლაშვილმა თანამოსაუბრეს უამბო შემთხვევა ტრანსფორმატორის შესახებ. — უამრავი დრო მიაქვს მოწყობილობის შემოზიდვას, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საკითხების მოგვარებას. ამ ცოტა ხნის წინათ ტყიბულჰესისათვის მივიღეთ მძლავრი ტრანსფორმატორი, რომლის სიმძიმე 70-მდე ტონაა. მისი დატვირთვა რკინიგზის ვაგონზე, შორი მანძილიდან მშენებლობაზე ჩამოტანა, რთული რელიეფის გზით საგენერატორო შენობამდე ტრაქტორით მიტანა მრავალი ათასი მანეთის ხარჯს მოითხოვს. მივიტანეთ ეს ტრანსფორმატორი დანიშნულების ადგილზე, შევუდექით მის დამონტაჟებას, და მოვიდა ფიცხელი განკარგულება:

— ტრანსფორმატორი ამა და ამ მარკისა, რომელიც თქვენ გამოგეგზავნათ, სასწრაფოდ დატვირთეთ რკინიგზის ვაგონზე და გაგზავნეთ სხვა მისამართით...

ხელმძღვანელი რესპუბლიკური ორგანოების დახმარებით ეს ტრანსფორმატორი შევინარჩუნეთ, უიმისოდ კი ტყიბულჰესის დანიშნული ვადისათვის ამუშავება შეუძლებელი იქნებოდა.

* * *

როდესაც მშენებლები ე. წ. შეუნაცვლებელი გრაფიკით მუშაობდნენ, რათა უმოკლეს ხანში გაემზადებინათ საექსპლოატაციოდ ჰიდრო და ელექტროდანადგართა მთელი კომპლექსი, საგენერატორო შენობის სამანქანო დარბაზში ქვემო სართულიდან ამოვიდა ატლეტიკური მოყვანილობის ვაჟკაცი. მას სპეცტანსაცმელზე ბეტონის ხსნარის ნაშხეფები და შუბლზე ტალახის ლაქა შერჩენოდა.

— ხომ გითხარი, ილია, — მიმართა მან მშენებლობის პარტიული ორგანიზაციის მდივანს ი. ბერიშვილს, — არ ვარგა, ჩვენს პირობებში მიზანშეწონილი არ არის შეუნაცვლებელი გრაფიკით მუშაობა-მეთქი. კიდევ ვამბობ, რაც გინდა ის მიწოდე, მაგრამ ასეთი გრაფიკის მოწინააღმდეგედ მაინც დავრჩები!

ასე ამბობდა ინჟინერი ვახტანგ მაჭავარიანი, რომელიც გამოცდილებამ დაარწმუნა, რომ მცირე ფართობის სამშენებლო მოედანზე, სადაც ერთდროულად მუშაობა უხდებათ მანქანების მემონტაჟეებს, დურგლებს, მებეტონეებს, შემლესავებს, ელექტროგაყვანილობის მემონტაჟეებს, გამართულ დანადგართა გამომცდელებს, ზეინკალ-ამწყობებს, მეარმატურეებს და ა. შ., მომუშავეთა ისეთი სიმრავლე და შეჯგუფებულობა იქმნება, რომ ხელშეწყობის ნაცვლად უფრო ხელს უშლიან ერთმანეთს. ასეთ შემთხვევაში უმჯობესია საათობრივი გრაფიკიო, მოითხოვდა მაჭავარიანი.

— რატომ?

— იმიტომ, რომ საათობრივი გრაფიკის მიხედვით ამა თუ იმ ბრიგადამ მინდობილი სამუშაოები გარკვეული საათისათვის უნდა შეასრულოს და მორიგი ბრიგადისათვის ადგილი გაათავისუფლოს. მაშინ საქმე უფრო სწრაფად წავა წინ!

მართლაც, ინჟინრის ეს მოსაზრება საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, სხვა ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაზე სამუშაოთა დასაჩქარებლად გამოყენებული ესა თუ ის ხერხი უცვლელად არ უნდა გადმოვიღოთ, არამედ ამა თუ იმ ხერხში შევიტანოთ ის ცვლილება, რომელსაც ადგილობრივი პირობები მოითხოვს.

* * *

ვალენტინა კუჩერიავაიას, სანდომიანი სახის ცისფერთვალება გოგონას, წელს დაუმთავრებია ზაპოროჟიეს ჰიდროენერგეტიკული ტექნიკუმი და გაჩაწოლებელ კომისიას სამუშაოდ უკრაინიდან საქართველოში, ტყიბულჰესის მშენებლობაზე გამოუმწესებია.

— ეს რომ გამოგვიცხადეს, სიხარულით ცას ვეწიე, — მოგვითხრობდა გოგონა. — მოგკურცხლე შინისაკენ და გზად იმ საწარმოში გამოვიარე, სადაც მამაჩემი მუშაობს, რათა ყველაზე წინ მისთვის შემეტყობინებინა პატარაობიდანვე ჩემი ოცნების შესრულების შესაძლებლობა... იცით რა, მეც კარგი ეშმაკი ვარ! დედაჩემი მეუბნებოდა, შორს არსად გავაგზავნინებ შენ თავს, შვილო, შენ ოღონდ კარგი ატესტატი მოიტანეო. მამა კი მირჩევდა: უმჯობესია ისეთ მშენებლობაზე წახვიდე, — დაე შორს იყოს ეს მშენებლობა, ყველგან არიან გულისხმიერი საბჭოთა ადამიანები, რომლებიც მშობლიურ ზრუნველობას გაგიწევენ, — სადაც კარგ გამოცდილებას მიიღებ, ისწავლი და თეორიულ ცოდნას პრაქტიკით განმტკიცებო.

გადავეცი მამას ახალი ამბავი, მხარდაჭერა აღმითქვა დედასთან, ხოლო დედაჩემმა ჩემი აქეთ წამოსვლის ამბავი შეიოცა, მაგრამ... როგორც ხედავთ, მე მაინც ჩემი გავიტანე და აქა ვარ!

— მერე, კმაყოფილი ხართ?

— მარტო მე კი არა, აქ რამდენიმე გოგო და ბიჭი ჩამოვედით, ყველანი ძალიან კმაყოფილნი ვართ. მართლაც, აქ ყველა, ჩვენი უფროსები, მუშები, მთელი კოლექტივი, მშობლიური მზრუნველობით გვეპყრობა. განსაკუთრებით მადლობელნი ვართ კომკავშირელი ინჟინრის თამარ მეფარიძისა, რომელიც ჩვენს მიმართ დიდ გულისხმიერებას იჩენს. არასოდეს არ დავიწყებთ იმ ამბავს და დახმარებას, რომელსაც გვიწევენ აქაური ჰიდროენერგეტიკოსი მშენებლები.

* * *

თავდაპირველი გეგმით ტყიბულჰესის ორი ჰიდროაგრეგატი რამდენიმე თვის წინათ უნდა ყოფილიყო ამუშავებული. მთელ რიგ გარემოებათა გამო მშენებლებმა და მემონტაჟეებმა ეს ვერ შეძლეს, მაგრამ სამაგიეროდ საქმე ისე მიაწყეს, რომ წლის ბოლომდე უზრუნველყვეს სადგურის ამუშავება სრული სიმძლავრით.

სამუშაოთა მწარმოებელმა ფრიდონ ჭელიძემ გვიამბო: ყოველი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაში ყველაზე შრომატევად სამუშაოებად ითვლება სათავის ნაგებობათა კომპლექსის აგება, დერივაციის მოწყობა და საგენერატორო შენობის კვანძის გამართვა. ჩვენ ეს სამუშაოები შეგვეძლო ბევრად უფრო ადრე დაგვემთავრებინა, ვიდრე დავამთავრეთ, თუ, რასაკვირველია, ამ სამუშაოებს დროით შევუდგებოდით.

მაგალითად, საგენერატორო შენობის კვანძზე მუშაობას ზუსტად ორი წლის წინათ — 1954 წლის შემოდგომის მიწურულში შევუდექით და შენობის საფუძველში პირველი ბეტონი იმავე წლის ნოემბერში ჩავასხით. მაშასადამე, ამ პასუხსაგები კვანძის საექსპლოატაციოდ გაშზადება 23 თვეში შევძელით, რაც მნიშვნელოვან მიღწევად უნდა ჩაითვალოს. ეს მიღწევა კი მოპოვებულია შრომის სწორი ორგანიზაციით და არა მუშახელის სიმრავლით.

* * *

დიდი და საინტერესო გამოცდილება შეიძინეს ტყიბულჰესის მშენებლებმა. ამ გამოცდილების შესახებ მოგვითხრობდნენ რიგითი მშენებლები და ცუდი როდი იქნება, თუ ენერგეტიკოს მშენებელთა პროფორგანიზაციები იკისრებენ ამ ძვირფასი გამოცდილების განზოგადებას, სხვა ჰიდროელექტროსადგურების მშენებელთა პრაქტიკაში დანერგვას.

დ. ლომთაძე.

★

შეჯიბრების ძალა

საგენერატორო კვანძის მშენებლობაზე ხუროებს და დურგლებს ბევრი საქმე ჰქონდათ გასაკეთებელი. ბეტონის ნაგებობათათვის რთული კონფიგურაციის ჭარგალებს, საგენერატორო შენობისათვის კარ-ფანჯრის ჩარჩოებს, ათასგვარ სხვა სადურგლო სამუშაოებს ჩვენ ვასრულებდით. იმაზე, თუ როგორ სწრაფად, მაღალხარისხოვნად შევასრულებდით ამ სამუშაოებს, დამოკიდებული იყო მებეტონეების წარმატება, შემდეგ კი მემონტაჟეების მუშაობა.

ამას წინათ საგიტაციო საუბრისას ჩვენს შეკითხვაზე ინჟინერმა ა. უგრეხელიძემ პასუხად მოგვითხრო, თუ რაოდენ სირთულეს შეიცავს საგენერატორო კვანძის მშენებლობის საქმე და რა დიდი დრო მიაქვს ამ მშენებლობას ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის საერთო დროსთან შეფარდებით. მაშინ გავიგეთ, რომ თურმე ცუდად არ გვმუშავნია. ორ წელიწადზე ნაკლებ დროში საგენერატორო კვანძის მთელი კომპლექსის მშენებლობის დამთავრება ისეთი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურზე, როგორიც ტყიბულჰესია, დიდი გამარჯვებაა. ამ საქმეში ჩვენი წვლილიც ურევია.

სულ ამ უბანზე ხუროთა სამი ბრიგადა მუშაობდა. ერთ ბრიგადას მე ვხელმძღვანელობდი, მეორეს — დმიტრი ლაფერაშვილი, ხოლო მესამეს — სანდრო სიხოშვილი.

სამუშაოთა უფრო სწრაფად და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის ბრიგადებს შორის გავაჩაღეთ სოციალისტური შეჯიბრება. შეჯიბრების შედეგების აღრიცხვა ყოველდღიურად ხდებოდა, ხოლო ამ შედეგების შეჯამება — ყოველთვიურად. შეჯიბრებაში წარმატების მისაღწევად დავრაზმეთ ბრიგადის წევრები. განვუმარტეთ ყველას, თუ რას მოითხოვდნენ ჩვენგან და რა უნდა გაგვეკეთებინა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩვენი ბრიგადის წევრების—გ. კუდუხოვის, ა. ხეცაძის, გ. კობახიძის კარგი, თავდადებული მუშაობა.

ამ შეჯიბრებაში ჩვენი ბრიგადა მთელი თვეების განმავლობაში სისტემატურად პირველ ადგილზე გამოდიოდა, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ სხვა ბრიგადებიც არ ჩამოგვრჩებოდნენ, საერთო საქმე წარმატებით სრულდებოდა.

ა. კობახიძე,
ხუროთა ბრიგადის ხელმძღვანელი.

ახალ ობიექტზე

ტყიბულჰესის მშენებლობაზე კალატოზთა ბრიგადას ვხელმძღვანელობ. უკვე წელიწადზე მეტი ხანია, რაც ჩვენი ბრიგადა კომპლექსური გახდა. ბრიგადის თვითეული წევრი დაუფლებულია კალატოზობას და შელესვაზე მუშაობას. ეს ხელს გვიწყობს გაუცდენლად მუშაობაში, რადგან თუ ქვის წყობის სამუშაო არ გვექნა, ყველანი შელესვის სამუშაოთა შესრულებაზე გადავდივართ. შელესვაზე მუშაობა ბრიგადის წევრებს საკუთარი ძალებით შევასწავლეთ. ამ მხრივ ბრიგადას დიდი დახმარება გაუწიეს ამავე ბრიგადის მოწინავე წევრებმა სიკო ფეიქრიშვილმა, რომელიც ჩემი მოადგილეა, ელგუჯა კერესელიძემ და იოსებ ბარბაქაძემ.

ტყიბულჰესზე ბევრი სამუშაო ალარ დაგვრჩა შესასრულებელი. ხელმძღვანელები გვეუბნებიან, სამუშაოდ მალე ახალ ობიექტზე გადაგიყვანთო. ბრიგადა მზად არის მშენებლობის ახალ ობიექტზეც ისახელოს თავი.

ა. ტოფაძე,
კალატოზ-შემლესავების ბრიგადირი.

მასების თაოსნობა

დიდი სიძნელეების გადალახვა მოგვიხდა დახრილი გვირაბის გაყვანისას. მთავარი სიძნელე აქ ის იყო, თუ გვირაბის გაყვანისას გამოღებული ქანი როგორ გამოგვეტანა მიწის ზედაპირზე.

პროექტი, ცხადია, მზად იყო და გვქონდა. ამის მიხედვით გვირაბის გაყვანას შევუდექით ორი სანგრევიდან — ზევიდან და ქვეიდან. ზევითა სანგრევიდან პროექტში გათვალისწინებული იყო გამოღებული ქანის მაღლა აზიდვა ჯალამბრისა და ვაგონეტების საშუალებით, ხოლო ქვემოთა სანგრევიდან ქანის გამოტანა ნაგულისხმევი იყო ხის ფართო ღარით. ზემოთა სანგრევიდან მუშაობა დაიწყო მიხეილ სერდობინცევის ბრიგადამ. ყველაზე პასუხსაგები ქვემო სანგრევიდან მუშაობის დაწყება ჩვენს ბრიგადას დაეკისრა.

სანგრევში გამონამუშევარი ხაზის მცირე სიგრძეზე ღარი კარგად მუშაობდა, მასზე დაყრილი ქანი, თუ ცოტას ნიჩბითაც წავეხმარებოდით, ქვემოთ მოდიოდა, მაგრამ როგორც კი გამონამუშევარი ხაზის სიგრძე გაიზარდა, მაშასადამე, ხის ღარიც უფრო გრძელი დაგვჭირდა, ქანის ტრანსპორტირებაც შეფერხდა. დიდი ქვები, რომლებსაც ამ ღარზე ვყრიდით, სწრაფად მოგორავდნენ, მაგრამ ე. წ. მცირე ფრაქცია არ მოდიოდა, ღარზე „კორპები“ კეთდებოდა და იძულებული ვიყავით ნიჩბები გამოგვეყენებინა, ე. ი. გამოგვეყო მუშები ღარის მომსახურებისათვის. რამდენადაც გრძელდებოდა სანგრევი ხაზი, იმდენად ძნელდებოდა ღარით ქანის ტრანსპორტირება და თანაც მუშებს მისი მომსახურება უძნელდებოდათ, რადგან დიდი დაქანების ვითარებაში ასვლა-ჩამოსვლა კიბით იყო საჭირო.

ბრიგადის საწარმოო თათბირზე დავაყენეთ ეს საკითხი. შემოვიდა წინადადება, რომ ღარის ზედაპირი მოგვეჭედა რკინის ფურცლებით. ასეც მოვიქეცით, მაგრამ აქ თავი იჩინა ახალმა დაბრკოლებამ. დიდი ქვები ღარზე ვერ ჩერდებოდნენ, ძირს ცვივდნენ და სახიფათო ხდებოდა გვირაბში შემოსვლა, ხოლო წვრილი ფრაქციის ქანი მაინც არ მოდიოდა ქვემოთ. ხელახლა გავმართეთ თათბირი და გადავწყვიტეთ ღარზე ქანის დასაცურებლად გამოგვეყენებინა წყალი, ხოლო მსხვილი ნატეხი ქვები რომ არ გადმოვარდნილიყო, ღარი გადაგვეხურა. ამ ღონისძიებამ შესანიშნავი შედეგი მოგვცა. მართლაც, დახურულ ღარში სულ ცოტა წყლის მიშვებისთანავე მსხვილი და წვრილი ღორღი თავისუფლად წამოვიდა ქვევით და საქმეს ერთბაშად დაეტყო გაუმჯობესება.

მშენებელთა კოლექტიურმა აზრმა გაიმარჯვა, მშენებლობა სწრაფი ტემპით განვითარდა.

აქ უნდა აღინიშნოს ჩვენი ბრიგადის აქტიური, მოწინავე წევრების, მაღალკვალიფიციური გვირაბმშენებლების ტ. ნოზაძის, მ. ყულიევის, ს. დგებუაძის, გ. აფენდულოვის, ი. ბესჩოტნის მოსაზრებული, ფრთხილი და მაღალნაყოფიერი მუშაობა.

ტყიბულჰესის მშენებლობაზე ჩვენი ამოცანა უკვე შეასრულეთ. ჩვენს ბრიგადას წინ ახალი მშენებლობები ელის. კერძოდ, მონაწილეობას მივიღებთ მეორე ხრამჰესის აშენებაში.

ი. ოგოლაძე,
გვირაბმშენებელთა ბრიგადირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.



დახრილ გვირაბში საწნეო მილსადენის დამონტაჟების მომენტი. მილსადენიდან ჩანს საგენერატორო შენობა და ბეტონის მექანიზებული ქარხნის კოშკი.

სიახლეები ტყიბულჰესის მშენებლობაში

ტყიბულჰესი ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი უდიდესი ჰიდროელექტროსადგურია. მისი ამუშავება მეექვსე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია ერთ მომდინარე წლის ბოლომდე, და მშენებლებმა ეს ამოცანა, შეიძლება ითქვას, წარმატებით შეასრულეს.

ეს სადგური მაღალი წნევისაა. მისი განსაკუთრებული ღირსება ის არის, რომ დიდი წყალსაცავის საშუალებით მას შეუძლია წყლის ენერგიის აკუმულაცია მთელი წლის განმავლობაში და ამის შედეგად ელექტროენერგიის სასურველ დროს მოცემა.

ტყიბულჰესის პროექტში სხვა ჰიდროელექტროსადგურებთან შედარებით მთელი რიგი სიახლენი იქნა შეტანილი. ერთ-ერთი ასეთი სიახლეა სწრაფდენი, რომელიც შეიმუშავა და პრაქტიკაში დანერგა ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის თბილისის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ჰიდროტექნიკური ლაბორატორიის კოლექტივმა. სწრაფდენის პროფილის ფუძე ანუ ქვედა ნაწილი სამკუთხოვანია, რომელიც ზემოთ გადადის ტრაპეციულში. სამკუთხედის ფორმა მოხერხებულად არის შეფარდებული ტრაპეციის ფორმასთან. პროფილი არ მოითხოვს რკინატორკრეტით მოპირკეთებას, როგორც ეს სხვა შემთხვევაში იქნებოდა საჭირო. ასეთი პროფილი მნიშვნელოვნად ეკონომიურია, ასაშენებლად მოსახერხებელი და, რაც მთავარია, იგი გამორიცხავს ტალღების წარმოშობის შესაძლებლობას, ხოლო ეს ტალღები, როგორც ცნობილია, სწრაფდენზე დაქანებისას დიდ დამანგრეველ ძალას იძენენ. ტყიბულჰესის სწრაფდენი უდიდესია მთელ საბჭოთა კავშირში თავისი სიგრძითა და სიმაღლით. სწრაფდენის ამუშავების შემდეგ ახალმა პროფილმა სავსებით გაამართლა თავისი დანიშნულება.

პირველად ტყიბულჰესზე განხორციელდა საწნეო მილსადენის მიწისქვეშა მონტაჟი, დახრილი გვირაბის გაყვანა და საგენერატორო შენობისა და ღია ძაბვის ამწევი ქვესადგურის ერთ კომპლექსად, გვერდიგვერდ განლაგება. მათი ასეთი მდებარეობა მნიშვნელოვნად ამცირებს სამუშაოთა მოცულობას და აჩქარებს მშენებლობის ტემპებს. მაგალითად, ღია, ძაბვის ამწევი ქვესადგურის ძირა ნაწილებში ბეტონის მიწოდება წარმოებდა უშუალოდ ბეტონის ქარხნიდან ლენტური ტრანსპორტიორით. ქვესადგურის ჩონჩხისა და მოწყობილობის მონტაჟი წარმოებდა იმავე სტაციონარული ამწის საშუალებით, რომელსაც საგენერატორო შენობის აგებისას ვიყენებდით.

ტყიბულჰესის სამუშაო პროექტების შექმნაზე თავდადებით მუშაობდნენ პროექტის მთავარი ინჟინერი — გ. მნაცაკანიანი, ჯგუფთა ხელმძღვანელები — გ. ჰეტროსიანი და ი. ზალიევა, ახალგაზრდა ინჟინრები — თ. ალიხანოვა, თ. აფრიდონიძე, რ. ქინქლაძე, გ. შეყლაშვილი, მ. ტერტეროვი, კ. კონჯარია, ტ. იაშვილი, ე. ყურული, ნ. ბეჟუაშვილი, ზ. მშვენიერაძე და სხვ.

ტყიბულჰესის მშენებლობის განხორციელება ჩვენი ენერგეტიკოსი მშენებლებისა და დამპროექტებლების ბრწყინვალე გამარჯვებაა.

გ. თაბუკაშვილი,
„თბილჰიდროენერგოპროექტის“ ტყიბულჰესის მუშაპროექტირების ჯგუფის ინჟინერი.

ზოგიერთი ციფრები

⊙ **ტყიბულჰესის წყალსაცავის** შესაქმნელად აშენებულია კილომეტრნახევრის სიგრძის მიწაყრილის კაშხალი, რისთვისაც მშენებლებს მოუხდათ 900.000-ზე მეტი კუბმეტრი მიწის სამუშაოს შესრულება. კაშხალის მშენებლობა ჯერ კიდევ მთლიანად არ არის მოთავებული, მისი ტანის ასამაღლებლად საჭიროა დამატებით 100.000 კუბმეტრი მიწის დაყრა, თუმცა კაშხალის ტანის არსებული სიმაღლე ჰიდროელექტროსადგურის სრული სიმძლავრით ამუშავებისათვის სავსებით უზრუნველყოფს საპროექტო მოცულობის წყალსაცავის შექმნას.

⊙ **მიწაყრილის ამ კაშხალის** მშენებლობაზე სულ 120-მდე კაცი მუშაობდა. მიწის მოზიდვაზე, დაყრასა და დატკეპნაზე ამუშავებდნენ 6 ექსკავატორს, 8 ბულდოზერს, 15 ცალ ექვსკუბმეტრიან სკრეპერს, 9 კუბმეტრის ტევადობის 8 მისაბმელ სკრეპერს და სხვა ტექნიკას (სატკეპნი მანქანები, ტრაქტორები, თვითმცლელები და ა. შ.).

⊙ **საგენერატორო შენობის** ასაგებად შესრულებულია 40.000 კუბმეტრი ბეტონის სამუშაო, გამოყენებულია მრავალი ათასი ტონა ლითონის კონსტრუქციები და რკინაბეტონის მზა სამშენებლო დეტალები.

საერთაშორისო მიმოხილვა

სუეცის საკითხი უშიშროების საბჭოში

უშიშროების საბჭოში სუეცის საკითხის განხილვას შეუნელებელი ყურადღებით ადევნებს თვალყურს მთელი მსოფლიოს საზოგადოებრიობა. უშიშროების საბჭოს სხდომებზე დიდ სახელმწიფოთა და ეგვიპტის წარმომადგენლების გამოსვლების კომენტარებს, სხვადასხვა ვარაუდს ამ სხდომების ამა თუ იმ შედეგის შესახებ, ცნობებს იმის შესახებ, რომ ნიუ-იორკში წარმოუს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრები და მოლაპარაკება, ახლა ცენტრალური ადგილი უკავია უცხოეთის გაზეთების ფურცლებზე.

დიდი რეზონანსი გამოიწვია სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის დ. ტ. შეპილოვის გამოსვლამ, რომელმაც ჩამოაყალიბა სუეცის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრის რეალური და კონკრეტული გეგმა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ამ გეგმაში მოყვანილ წინადადებას იმის შესახებ, რომ შეიქმნას ეგვიპტის წარმომადგენელთა მონაწილეობით უშიშროების საბჭოს ავტორიტეტიანი კომიტეტი, რომელიც შეძლებს შეთანხმებული დასკვნები გამოიტანოს სუეცის საკითხზე, შეიმუშაოს პროექტი ახალი კონვენციისა სუეცის არხში ნაოსნობის თავისუფლების უზრუნველყოფის შესახებ და მოამზადოს ამ კონვენციის დასამტკიცებლად ფართო საერთაშორისო თათბირის მოწვევა.

ყველა, ვინც ესწრაფვის სუეცის პრობლემის მშვიდობიან მოწესრიგებას, უშიშროების განმტკიცებას სუეცის არხისა და მთელი ახლო აღმოსავლეთის რაიონში, მხურვალედ იწონებს საბჭოთა წინადადებას. „ეგვიპტელ ხალხს, — წერს კაიროს გაზეთი „ალ-გუმჰურია“ დ. ტ. შეპილოვის სიტყვის გამო, — კიდევ ერთი შესაძლებლობა მიეცა დარწმუნებულიყო, რომ იგი მარტო არ არის თავის სამართლიან ბრძოლაში და რომ დასავლეთის სახელმწიფოები ვერ მოახერხებენ დაფარონ საერთაშორისო ერების ორგანიზაციის ალმით თავიანთი უხეში ჩარევა ეგვიპტის საშინაო საქმეებში“. ლონდონის გაზეთები თავიანთ კომენტარებში ხაზგასმით აღნიშნავენ საბჭოთა წარმომადგენლის სიტყვის იმ ადგილებს, სადაც ლაპარაკია ეგვიპტეში ძველი კოლონიური წესების აღდგენის ცდების განწირულობაზე. „სუეცის არხის ნაციონალიზაცია ეგვიპტის სუვერენული უფლებაა, — წერს გაზეთი „აშ-შარკი“, — და ევროპითარი ძალა ვერ შეაჩერებს ხალხების გამოღვიძებას“.

უპირისპირებს რა სუეცის საკითხისადმი საბჭოთა კონსტრუქციულ მიდგომას დასავლეთის სახელმწიფოთა პოლიტიკას, რომლებიც უგულებელყოფენ ეგვიპტის რესპუბლიკის სუვერენულ უფლებებს, გაზეთი „ტაიმს ოფ ინდია“ წერს: „ყველაფერი, რის შეთავაზებაც შეძლო დასავლეთმა ევროპიანებული ერების ორგანიზაციისთვის, არის ეგრეთწოდებული დალესის გეგმის მოსაწყენი გამეორება, გეგმისა, რომელიც მენზისის მისიამ ჩამოაყალიბა კაიროში და რომელიც კატეგორიულად უარყო ეგვიპტის მთავრობამ“. ამასვე აღნიშნავს ინდოეთის მეორე გაზეთი „ინდიან ექსპრესი“, რომელიც აცხადებს, რომ „უშიშროების საბჭოში ინგლისისა და საფრანგეთის დელეგატთა გამოსვლებიდან ჩანს, რომ ინგლისსა და საფრანგეთს კვლავ სურთ თავს მოაბეჭონ ეგვიპტეს გადაწყვეტილება გარედან“.

„ინდიან ექსპრესის“ მსგავსად იტალიის გაზეთი „ჯორნალე დი სიჩილია“ თავის გამოხმაურებაში სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის გამოსვლის გამო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გარედან გადაწყვეტილებათა თავსმოხვევის პოლიტიკა უკვე დიდი ხანია გაკოტრდა და რომ ეგვიპტის მიმართ, ისევე როგორც სხვა ქვეყნების მიმართ, რომლებიც დამოუკიდებლობის გზას დაადგნენ, დასავლეთის სახელმწიფოებმა მოქცევის სხვა ხაზი უნდა აირჩიონ. „უნდა დაწესდეს ახალი საერთაშორისო წესი, — აცხადებს იტალიური გაზეთი, — როდესაც ეროვნული ამბიციისა და აფრიკის ახალგაზრდა დამოუკიდებელი ხალხების თავისუფალი განვითარება განხორციელდება ურთიერთპატივისცემის პირობებში და ჩაურევლად“.

„დღითიდღე, — კომენტარს აკეთებს ფრანგული გაზეთი „მონდი“, — მცირდება არხის საერთაშორისო მართვის სისტემის შექმნის შანსები“, ესეც იგი სუეცის ზონაში „სუეცის არხით მოსარგებლეთა ასოციაციის“ აბრით კოლონიური სისტემის აღდგენის შანსები.

ბურჟუაზიული პრესის გარკვეული ნაწილი ყველაფერს აკეთებს, რაც კი ძალუძს, რათა დაამახინჯოს პოზიცია, რომელიც საბჭოთა კავშირმა დაიკავა სუეცის საკითხში. იგი თავის მკითხველებს უშიშროების საბჭოში საბჭოთა წარმომადგენლის გამოსვლას აცნობს როგორც თითქოს „ულტიმატურ მოთხოვნას დასავლეთის სახელმწიფოებისადმი“, მაგრამ თვითონ ლაპარაკობს ულტიმატუმების ენით, როცა მოითხოვს „მოქმედების თავისუფლებას“ ეგვიპტის წინააღმდეგ. მას დასაშვებად მიაჩნია ეგვიპტესთან „მოწესრიგება“, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი კაპიტულაციას მოახდენს ინგლის-საფრანგეთ-ამერიკის მონოპოლიების მოთხოვნების წინაშე.

მაგრამ მსოფლიო საზოგადოებრიობის ფართო წრეებმა იციან, რომ სიმართლე, კანონი, სამართლიანობა ეგვიპტის მხარეზეა. საბჭოთა კავშირის პოზიცია სუეცის საკითხში განამტკიცებს ხალხთა რწმენას ამ სიმართლის ვარდუვალი გამარჯვებისადმი.

ბარიგება საარის შესახებ

პარიზში განზრახულია ხელი მოაწერონ ხელშეკრულებას საარის ოლქის შესახებ საფრანგეთსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის. ეს ხელშეკრულება, რომელიც საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა გი მოლემ და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა ადენაუერმა შეიმუშავეს ლუქსემბურგში ივნისის დამდეგს მათი მოლაპარაკების დროს, ხოლო შემდეგ სექტემბრის დამლევს ბონში, ითვალისწინებს საარის პოლიტიკურ შეერთებას დასავლეთ გერმანიასთან მომავალი წლის 1 იანვრიდან. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან საარის ეკონომიური შეერთება განხორციელდება ცალცალკე ეტაპებად სამი წლის განმავლობაში. საარის ოლქთან „ეკონომიური კავშირის“ ლიკვიდაციით გამოწვეული „ზარალის“ ასანაზღაურებლად საფრანგეთი მიიღებს უფლებას გარკვეული ვადის განმავლობაში ექსპლოატაცია გაუწიოს საარის ყვანახშირის შახტებს ვარნდტის რაიონში, ხოლო შემდეგ დამატებთ მიიღოს საარის ყვანახშირი. გარდა ამისა, საფრანგეთს გადაუხდიან 400-450 მილიონ მარკას როგორც კომპენსაციას საარის ოლქიდან საფრანგეთის ვალუტის განდევნისათვის. საფრანგეთიც და დასავლეთ გერმანიაც ერთად დააფინანსებენ მოზეილისა და ელზასის არხების მშენებლობას, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ იაფი სანაოსნო კავშირი სამრეწველო რაიონებს შორის რაინის ორივე ნაპირზე.

განიხილა რა საფრანგეთ-დასავლეთ გერმანიის მოლაპარაკების ეს შედეგები, გი მოლემ პრესკონფერენციაზე ბონში განაცხადა, რომ „საარის პრობლემა დაბრკოლება იყო ევროპის შემოქმედებისთვის“, მაგრამ ახლა „აღმოფხვრილია უკანასკნელი გადაუჭრელი საკითხები“. კანცლერმა ადენაუერმა კი ბონის მოლაპარაკების შედეგს უწოდა „ევროპის გაერთიანების პირველი ფაზის დამთავრება“. ეს იაფი რიტორიკა მოწოდებულია დაფაროს საარის ოლქის შესახებ გარიგების ნამდვილი რეაქციული მნიშვნელობა.

ეს გარიგება უწონარეს ყოვლისა ნიშნავს საარის სამრეწველო ოლქის მიცემას ბონის მილიტარიზმისათვის და ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის დასავლეთ გერმანიის პლაცდარმის გაძლიერებას. საარის შეერთება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან განამტკიცებს დასავლეთ გერმანიის მრეწველობის დომინაციას და ასუსტებს საფრანგეთის მრეწველობის პოზიციებს. მეორე მსოფლიო ომამდე საარის ოლქი იძლეოდა მთელი გერმანიის ქვანახშირის 8 პროცენტს, ფოლადის პროდუქციის 12 პროცენტს, თუჯის 14 პროცენტს. 1953 წელს საარში მიღებულ იქნა 2 მილიონ ტონაზე მეტი თუჯი, 2,5 მილიონ ტონაზე მეტი ფოლადი და 16 მილიონ ტონაზე მეტი ქვანახშირი. საარის სიმდიდრე დასავლეთ გერმანიის მრეწველთა ხელში გააძლიერებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის როლს „ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანებაში“ და შეამცირებს საფრანგეთის როლს. „ბონში მიღებული გადაწყვეტილებანი, — წერს „ლუმანიტე“ ადენაუერისა და გი მოლეს მოლაპარაკების გამო, — უზრუნველყოფს რურის ტრესტებისათვის, რომ სასწორის ჯამი სულ უფრო მეტად გადაიხრება მათ მხარეზე“.

ამასთან ერთად ბონის გარიგება მიმართულია საარის მოსახლეობის ინტერესების წინააღმდეგ, რომლის უმრავლესობამ გასული წლის 23 ოქტომბრის რეფერენდუმზე გაიღაშქრა აგრესიული სამხედრო ბლოკების სისტემაში საარის ოლქის შეყვანის წინააღმდეგ და მოითხოვა გერმანიის მშვიდობიანი გაერთიანება დემოკრატიულ საფუძველზე. საარის გადაცემა იარაღის სამეწედლოდ ახალ გართულებებს უქმნის გერმანიის ერთიანობის საქმეს.

საარის ოლქი გერმანიის განუყოფელი ნაწილია. მისი ბედი არ შეიძლება გადაიჭრას უკანონო გარიგებათა მეთოდით. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ არა ცნო შეთანხმება საფრანგეთსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის და განაცხადა, რომ საარის საკითხი შეიძლება მოწესრიგდეს საფრანგეთთან მხოლოდ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და საარის ოლქის მთავრობათა მონაწილეობით.

ვ. ლინეცკი.

საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელი კომიტეტის სესია

პარიზი, 12 ოქტომბერი. (საკდესი). დამთავრდა საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელი კომიტეტის ორი დღის სესია, რომელიც მიეძღვნა ალჟირის პრობლემას. სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გი მოლემ. ალჟირში მთავრობის პოლიტიკა ჩამოაყალიბა მინისტრმა (რომელსაც რეზიდენცია ალჟირში აქვს) რობერ ლაკოსტმა.

თუმცა ხელმძღვანელი კომიტეტის მუშაობის შესახებ არ გამოქვეყნებულა რაიმე ოფიციალური მასალა, გარდა მოკლე კომუნიკესი, მაგრამ ბევრი პოლიტიკური მიმომხილველი აღნიშნავს, რომ კომიტეტის სესიაზე სერიოზული უთანხმოება წამოიჭრა იმ საკითხზე, თუ როგორი პოლიტიკა უნდა განხორციელდეს შემდგომ ალჟირში.

გაზეთი „ორორი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ხელმძღვანელი კომიტეტის სესია მიმდინარეობდა „შეშფოთების“ ვითარებაში. გაზეთ „მონდის“ სიტყვით, ხელმძღვანელი კომიტეტის წევრებმა უსაყვედურეს ლაკოსტს, რომ მან არ განახორციელა ალჟირში „ლიბერალური ღონისძიებანი“, რომელთა სასარგებლოდ გამოთქვა აზრი სოციალისტური პარტიის ამასწინანდელმა ყრილობამ.

კომენტარს უკეთებს რა ხელმძღვანელი კომიტეტის სესიას, გაზეთი „ლიბერასიონნი“ აღნიშნავს, რომ ამჟამად „უდავოა ის ფაქტი, რომ არა მარტო რიგით სოციალისტებში, არამედ პარტიის ხელმძღვანელობაშიც კი არის მღელვარება, რომელიც დაკავშირებულია უკმაყოფილებასთან ეგრეთწოდებული „დაშოშმინების“ პოლიტიკის გამო, რომელსაც ალჟირში რობერ ლაკოსტი ახორციელებს“. „დიდმნიშვნელოვანია ის, — წერს გაზეთი, — რომ სოციალისტების ხელმძღვანელმა კომიტეტმა, რომელიც დღემდე მხარს უჭერდა მინისტრს (რომლის რეზიდენცია ალჟირშია)... მოაგონა მას საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ლილის ყრილობის გადაწყვეტილებანი“.

გაზეთი „ლუმანიტე“ აღნიშნავს, რომ ხელმძღვანელი კომიტეტის მთელმა რიგმა წევრებმა გააკრიტიკეს მთავრობის პოლიტიკა ალჟირში. „ლუმანიტეს“ ეს მიაჩნია იმის შედეგად, რომ სულ უფრო ძლიერდება რიგითი სოციალისტების უკმაყოფილება ამ პოლიტიკის გამო.

ნ. პონომარიოვა სამშობლოში გრუნდეგა

ლონდონი, 12 ოქტომბერი. (საკდესი). საბჭოთა სპორტსმენი ნინო პონომარიოვა, რომელსაც ლონდონის ერთ-ერთი მაღაზიის კერძო მაძებარმა 29 აგვისტოს ბრალად დასდო, რომ მას არ გადაუხდია ერთ გირვანქა სტერლინგად და რამდენიმე შილინგად ღირებული საქონლის ფასი, დღეს გამოცხადდა სასამართლოში ინგლისელი ადვოკატის თანხლებით.

საქმის განხილვის მსვლელობაში მოსამართლემ ბრალდების მხარე დაიჭირა, მაგრამ შემდეგი გადაწყვეტილება მიიღო: „მე მიმაჩნია, რომ სამართლიანობის ინტერესები უზრუნველყოფილ იქნება, თუ სავსებით გავათავისუფლებ ბრალდებულს და გადავახდევინებ სასამართლო ხარჯებს სამ გინეას“ (სამ გირვანქას და 3 შილინგს).

ნ. პონომარიოვა სამშობლოში მიემგზავრება.

ზრუნვა ბავშვებზე

სოფელ ახალქალაქის (ცასპის რაიონი) ინვალიდ ბავშვთა სახლში იზრდება და მკურნალობს 65 ბავშვი შვიდიდან თექვსმეტ წლამდე. ყველაზე მძიმე ავადმყოფებს უვლიან ძიძები. ბავშვების ნაწილი სწავლობს ადგილობრივ საშუალო სკოლაში. სახლთან გახსნილია სამკერვალო, სადაც ასწავლიან კერვას.

სახლს აქვს ბიბლიოთეკა 1.700 წიგნით, რომელსაც განაგებს ერთ-ერთი ინვალიდი ბავშვი. აქვთ საკუთარი აბანო და სამრეცხაო. სისტემატურად უჩვენებენ კინოსურათებს. სახლთან ჩამოყალიბებულია სხვადასხვა თვითმოქმედი წრე: დრამატული, მოჭადრაკეთა, ხელგარჯილობის და სხვ., ჰყავთ საკუთარი ექიმთა პერსონალი და სამი აღმზრდელი მასწავლებელი. სუსტი ბავშვები საკიროებისამებრ იგზავნებიან სანატორიუმებში. მაგალითად ერთ-ერთი აღსაზრდელი ექვსი თვით გგზავნილი იყო აბასთუმნის სანატორიუმში.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ უფრო ნიჭიერი ინვალიდი ბავშვები უმაღლეს სასწავლებლებშიც იგზავნებიან. მაგალითად, აზა ენგერაშვილმა დაამთავრა უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი, როზა დენოშვილმა — სამედიცინო ინსტიტუტი და ამჟამად რუსთავში მუშაობს, ცარუსია გრიცენკო წელს ამთავრებს სამედიცინო ინსტიტუტს, ვასილ კაბანოვმა უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი დაამთავრა.

არიან ისეთებიც, რომლებმაც შეიძინეს სხვადასხვა პროფესიები და სასარგებლო შრომას ეწევიან.

ნ. იტრიევი.

მზადება ფესტივალისათვის

ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალისათვის მზადებასთან დაკავშირებით საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურმა სახლმა ფართოდ გაშალა მუშაობა. ყართველ კომპოზიტორებისაგან შეძენილ იქნა ბევრი ახალი საგუნდო და საესტრადო მუსიკალური ნაწარმოები, რომლებიც ამ დღეებში გამოიცა და დაეგზავნა შესასწავლად რესპუბლიკის რაიონების თვითმოქმედ კოლექტივებს.

გამოცემულ მუსიკალურ ნაწარმოებებს შორის აღსანიშნავია ა. ანდრიაშვილის — „სიმღერა მეგობრობისა“, ა. ჩიმაკაძის — „ჩვენი გერბი“, დ. თორაძის — „ახალგაზრდობის ჰიმნი“, მ. ჩირინაშვილის — „ჩაის მკრეფავთა სიმღერა“, ბ. კვერნაძის — „ახალგაზრდობის სიმღერა“, პ. ნალბანდიშვილის — „ძმებო, ვისაც შრომა გიყვართ“, ვ. ცაგარეიშვილის — „მოსკოვი — მეგობრობის კერა“ და სხვ. სულ გამოცემულია 30 სიმღერა.

ხალხური შემოქმედების სახლი დასაბეჭდად ამზადებს ყართველ კომპოზიტორთა საგუნდო სიმღერების კრებულს, რომელშიც შევა 50 სიმღერა; გამოსაცემად მზად არის 6 ნათარგმნი პიესა და 4 ცეკვა. ცეკვები დამუშავებულია ქორეოგრაფების დ. ჯავრიშვილის, მ. შუბაშიკელისა და ა. თალაძის მიერ.

კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში

კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა 12 ოქტომბერს მორიგ ახალ დადგმად მაყურებელს უჩვენა ვაჟა-ფშაველას დრამა „მოკვეთილი“.

სპექტაკლის დადგმა განახორციელეს ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწეებმა რეჟისორმა ა. ჩხარტიშვილმა და მხატვარმა ი. სუმბათაშვილმა. მუსიკის ავტორია ა. ჩორგოლაშვილი.

მთავარ როლებს ასრულებდნენ მსახიობი ო. მელვინეთუხუცესი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ი. ტრიპოლსკი, მ. ჯაფარიძე, კ. დაუშვილი, მ. დავითაშვილი, მსახიობები მ. მახვილაძე, ნ. ჯაკაბაძე, დ. ჭიჭინაძე, ე. მაღალაშვილი, ტ. საყვარელიძე, თ. მაისურაძე, ა. ვერულეიშვილი, დ. ოქროსცვარიძე, თ. არჩვაძე და სხვ.

გ. რომანოვის კონცერტები ჯაზ-ორკესტრის თანხლებით

ამ დღეებში თბილისში საგასტროლოდ ჩამოვიდა ენინმსახიობი გლებ რომანოვი, რომელიც საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო თეატრში გამართულ კონცერტებზე ჯაზ-ორკესტრის თანხლებით წარმატებით ასრულებს თანამედროვე პოპულარულ რუსულ, ქართულ, იტალიურ, ფრანგულ, მექსიკურ, ზანგურ, რუმინულ, პოლონურ და სხვა ქვეყნების ხალხთა სიმღერებს.

კინომსახიობ გლებ რომანოვის შესრულების მანერის თავისებურება, ორიგინალურობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ცდილობს ყოველი სიმღერა — ქართული პოპულარული სიმღერა „ირემი“ იქნება ის თუ იტალიური მელოდიური სიმღერა „ორი სოლდი“, ფრანგული რიტმული „პარიზის ბულვარები“ თუ რუმინული მხიარული სიმღერა „ბუქარესტი“ — გადაქციოს არა უბრალო საკონცერტო ეპიზოდურ ვოკალურ ნომრებად, არამედ საინტერესოდ გასცენიურებული მუსიკალური ნოველების ციკლად, რომელიც გაერთიანებულია ხალხთა მეგობრობის დიადი, კეთილშობილური გრძნობით. მხატვრულ-იდეური თვალსაზრისით ყველა მუსიკალური ნოველა როდი დგას ერთნაირ სიმაღლეზე, ყველაში როდია მახვილად მიგნებული შტრიხები და ემოციური დეტალები, მაგრამ არ შეიძლება განსაკუთრებით დადებითად არ შეფასდეს საფრანგეთისადმი მიძღვნილი მუსიკალური ნოველა, სადაც გლებ რომანოვი გამოჩენილი პარიზელი მომღერლის ივ მონტანის რეპერტუარის ყველაზე პოპულარულ სიმღერებს „პარიზს“ და „პარიზის ბულვარებს“ ასრულებს.

გლებ რომანოვის კონცერტების წარმატებას ხელი შეუწყო ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობების სვეტლანა კონოვალოვას, კლავდია ლეპანოვასა და ნინა რაზუმოვას გამოსვლებმა, ორიგინალურად გაფორმებულმა მხატვრულმა დეკორაციებმა და, რაც მთავარია, ჯაზ-ორკესტრის შესანიშნავმა აკომპანემენტმა. მაგრამ ჯაზ-ორკესტრი, რომლის მხატვრული ხელმძღვანელი და დირიჟორია ჰენრიხ ლიახოვსკი, გლებ რომანოვის კონცერტებში მარტო უბრალო აკომპანიატორი კი არ არის, არამედ დამოუკიდებელი ნიჭიერი შემოქმედებითი კოლექტივიც არის, რომელიც წარმატებით ასრულებს ისეთი წმინდა საჯაზო უანრის ნაწარმოებს, როგორიც არის „ქარავანი“. ცნობილია, „ქარავანი“ ყოველი ჯაზ-ორკესტრის პროგრამაში ტრადიციულ ნომერს წარმოადგენს, მაგრამ, არაერთგზის მოსმენილი ე. წ. უბადალებული „ჯაზური კაკოფონიით“ აღსავსე ბანალური „ქარავნებისაგან“ განსხვავებით, ჯაზ-ორკესტრის მიერ შესრულებული ეს ნომერი გამოირჩევა კეთილშობილური მელოდიურობით, ჯანსაღი რიტმულობითა და მგზნებარე ტემპერამენტულობით.

დ. გველესიანი.

• • •

სურათზე: ჯაზ-ორკესტრი ჰ. ლიახოვსკის ხელმძღვანელობით. ორკესტრის სოლისტები ნ. რაზუმოვა (მარცხნივ), გ. რომანოვი და კ. ლეპანოვა ასრულებენ ერთ-ერთ ნომერს.

ფოტო შ. გოჭაძისა.

ხალხთა მეგობრობისადმი მიძღვნილი საღამო

პარასკევს, 12 ოქტომბერს, საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის კალინინის რაიკომმა მოაწყო ინტელიგენციის შეხვედრა ქართველ მწერლებთან.

ძერჟინსკის სახელობის კლუბში საღამოს 8 საათზე შეიკრიბნენ ქალაქ თბილისის პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები, მწერლები. საღამო შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის კალინინის რაიკომის მდივანმა ე. სალუქვაძემ.

მოხსენება თემაზე — „ქართველი მწერლები უმღერიან ხალხთა მეგობრობას“ წაიკითხა კრიტიკოსმა ბ. ეღენტმა.

მომხსენებელი შეეხო ყართველ მწერალთა ნაწარმოებებს, რომლებიც ერთა ძმობის მოტივებით არიან შთაგონებულნი. ორატორმა ილაპარაკა იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს მეგობრობის ამსახველ მხატვრულ ნაწარმოებებს მკითხველთა ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში.

ტრიბუნაზეა პოეტი გ. ლეონიძე. მან თავის სიტყვაში აღნიშნა მომძე ხალხების ლიტერატურის თარგმნის საქმის უდიდესი მნიშვნელობა და ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე, რომლებიც ტარდება ყართულ ენაზე თარგმნის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

მეგობრობის თემაზე ახალი ნაწარმოებები წაიკითხეს ქართველმა, რუსმა და სომეხმა მწერლებმა: ს. ჩიქოვანმა, ა. ჭეიშვილმა, კ. ჭიჭინაძემ, ი. ნონეშვილმა, კ. კალაძემ, მარიჯანმა, ბ. სეირანიანმა, გ. მაზურინმა, თ. ჯანგულაშვილმა, დ. შენგელაიამ და ა. ბეგაშვილმა.

დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თბილისის საუკეთესო თეატრალურმა ძალებმა.

სპორტის სამყაროდან

ალიოხინის ხსოვნის ტურნირი

12 ოქტომბერს მოსკოვის ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიმართა ა. ალიოხინის ხსოვნის აღსანიშნავი საჭადრაკო ტურნირის მესამე ტური.

ამ დღეს მსოფლიოს ჩემპიონი ბოტვინიკი თამაშობდა ჩოკილტის წინააღმდეგ. საბჭოთა გროსმაისტერმა ძლიერად ჩაატარა პარტია და მორიგი გამარჯვება მოიპოვა. მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტმა სმისლოვმა დებიუტიდანვე უკეთესი პოზიცია მიიღო ულმანთან და მე-19 სვლაზე პარტია თავის სასარგებლოდ დამთავრა.

ტურნირის ლიდერი გროსმაისტერი ტაიმანოვი მესამე ტურში თეორებით თამამობდა ნაიდორფის წინააღმდეგ. საინტერესო ბრძოლის შემდეგ 34-ე სვლაზე შეზვედრა დამთავრდა ტაიმანოვის გამარჯვებით. ძლიერად თამაშობდა გროსმაისტერი კერესი გოლომბეკის წინააღმდეგ. 45-ე სვლაზე გაიმარჯვა კერესმა. პადევსკიმ მოუგო სლივას. უნციკერ-საბოსა და გლიგორიჩ-პახმანის პარტიები ყაიმით დამთავრდა. შტალბერგ-ბრონშტეინის პარტია გადაიღო.

„ბ“ კლასის გუნდების ასპარეზობა

„ბ“ კლასის ფეხბურთელთა კოლექტივების ასპარეზობა დასასრულს უახლოვდება. ღიღისათვის ჩემპიონატში მონაწილე ფეხბურთელთა 36 გუნდიდან უმრავლესობას გამართული აქვთ 29 თამაში, ზოგიერთს — 30.

პირველ ზონაში დაწინაურდა მინსკის „სპარტაკი“, რომელსაც „ა“ კლასში გადასვლის ყველაზე უკეთესი შესაძლებლობა აქვს. ამავე ზონაში წარმატებით იბრძვიან აგრეთვე მოსკოვის ყვანახშირის აუზის („შახტიორი“), ტაგანროგის „ტორპედოსა“ და ზაპოროჟიეს „მეტალურგის“ სპორტსმენთა კოლექტივები.

განსაკუთრებით მწვავე ბრძოლა მიმდინარეობს მეორე ზონაში, სადაც ერთმანეთს პირველობას ეცილებიან კუიბიშევის „კრილია სოვეტოვისა“ და თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდები. პირველ მათგანს 29 თამაშიდან 47 ქულა აქვს, მეორეს — 28 თამაშიდან 45 ქულა. მესამე ადგილზეა ერევნის „სპარტაკი“ (28 თამაშიდან 39 ქულა).

ჟურნალი «საქართველოს კომუნისტი» № 9

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალი „საქართველოს კომუნისტი“ № 9.

ჟურნალში დაბეჭდილია შემდეგი მასალები: **მოწინავე** — იდეოლოგიური მუშაობა — ახალი ამოცანების დონეზე; **სტატიები:** ზ. შველიძე — რუსეთთან საქართველოს შეერთების პროგრესული მნიშვნელობა; ვ. ერემთი — მოკავშირე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სუვერენულ უფლებათა შემდგომი გაფართოება; დ. მაისურაძე — კაპიტალიზმის საერთო კრიზისის გაღრმავება; ვ. მაჭავარიანი — ბურჟუაზიული ეკონომისტები — მონოპოლისტების ინტერესების დამცველნი. ორკესტრის სოლისტები ნ. რაზუმოვა (მარცხნივ), გ. რომანოვი და კ. ლეპანოვა ასრულებენ ერთ-ერთ ნომერს.

განყოფილებაში პროპაგანდისტისა და აგიტატორის დასახმარებლად დაბეჭდილია: ორწლიანი ეკონომიური სკოლის სანიმუშო სასწავლო გეგმა; სანიმუშო თემატიკური გეგმა სკკპ ისტორიის შემსწავლელი წრეებისა და სემინარების მეცადინეობისა 1956-57 სასწავლო წელს.

პარტიული ცხოვრების განყოფილებაში დაბეჭდილია: წარმატებით ჩავატართ ახალი სასწავლო წელი პარტიული განათლების სისტემაში; ა. ბაჯელიძე — ჩემი პროპაგანდისტული მუშაობის შესახებ; გ. ბახტაძე — კადრების ეკონომიური სწავლების გაძლიერებისათვის; ქ. ელოშვილი — რა გვიჩვენა შემოწმებამ; ო. ცქიტიშვილი — პოლიტიკური განათლების კაბინეტი ამ დღეებში; გ. გოცირიძე — ინსტრუქტორთა ჯგუფის მუშაობის პრაქტიკიდან.

ჟურნალში დაბეჭდილია აგრეთვე განყოფილება — **კრიტიკა და ბიბლიოგრაფია** და **პარტიული ქრონიკა.**

რედაქტორის მოადგილე
რ. ქურციკიძე.

საქართველოს რადიოს გადაცემათა პროგრამა
15 ოქტომბრისათვის

პირველი პროგრამით

რადიოსადგურებით 1571 და 59,52 მეტრ ტალღებზე, აგრეთვე თბილისის საქალაქო ქსელით

17.20 — რუსული საოპერო მუსიკის კონცერტი, 17.40 — გადმოცემა, მიძღვნილი მომმე რესპუბლიკების — საქართველოსა და აზერბაიჯანის ტრადიციული მეგობრობისა და სოციალისტური შეჯიბრებისადმი, 18.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 18.40 — გადმოცემა სკოლამდელთათვის — საუბარი: „წყლის ენერგია“, 19.20 — მსუბუქი მუსიკის კონცერტი, 19.40 — რადიოსადგურებით გადმოცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის, თბილისის საქალაქო ქსელით — გრიგი. — ნაწყვეტები მუსიკიდან, რომელიც დაწერილია იბსენის დრამისათვის „პერ გიუნტი“, 20.30 — გადმოცემა მრეწველობის თემაზე, 20.45 — ნაწყვეტები ოპერებიდან გალი-კურჩის შესრულებით.

რადიოსადგურით 1571 მეტრ ტალღაზე და თბილისის საქალაქო ქსელით

21.00 — გადმოცემა ციკლიდან „ჩვენი რესპუბლიკის მაღალმთიან რაიონებში“ — „ზემო სვანეთი“, 21.30 — კონცერტი ვესტის რაიონის მშრომელთა დაკვეთით, 22.00 — ლიტერატურული გადმოცემა მიძღვნილი პარმენ ლორიას შემოქმედებისადმი, 22.15 — გადმოცემა — „ია კარგარეთელი“, 22.45— ვალსები.

მეორე პროგრამით

რადიოსადგურით 59,52 მეტრ ტალღაზე

21.00 — რადიომონტაჟი რუსთაველის სახელობის თეატრის სპექტაკლისა — „ლერწამი ქარში“.

რადიოსადგურით 66,08 მეტრ ტალღაზე

18.15—19.00 — გადაცემები სომხურ ენაზე.

20.30—21.00 — გადაცემები აზერბაიჯანულ ენაზე.

ᲓᲦᲔ
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

ოპერისა და ბალეტის — ბაღჩისარაის შადრევანი (დილას), დაისი (საღამოს), **რუსთაველის სახელობის** — ლერწამი ქარში (დილა-საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — მოკვეთილი (დილა-საღამოს), **სომხური დრამის** — ზვავი, **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — უცნაური დანაკარგი (10 ს. და 2 ს.), მაშენკა (7 ს.), **ფილარმონია** — გ. რომანოვის კონცერტი (საზაფხულო თეატრი, 9 ს.).

ᲙᲘᲜᲝᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

რუსთაველის სახელობის — ავარა (I და II სერია), **ამირანი** (საზამთრო) — ისანი ხუთნი იყვნენ, **პლეხანოვის სახელობის კლუბი, ფილარმონიის ბაღი** — ფრთები, **ამირანი** (საზაფხულო), **ოქტომბერი, სპარტაკი, თბილისი, 26 კომისრის სახელობის** (საზამთრო), **კომუნარების ბაღი, ვოროშილოვის სახელობის კლუბი** — სხვადასხვა ბედი, **კოლხიდა** (საზამთრო), **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** (საზამთრო), **მილიციის სამმართველოს ძერჟინსკის სახელობის საზაფხულო კლუბი** — ყალბი ფული (I და II სერია), **კოლხიდა** (საზაფხულო), **ოფიცერთა სახლი** — ეშმაკის წრე, **დიდუბე** (საზამთრო და საზაფხულო) — ბატონი 420 (I და II სერია), **კომკავშირელი** — გაცრუებული ოცნებები, **ორჯონიკიძის სახელობის პარკი** — არ არის მშვიდობა ზეთისხილის ბაღებში, **ისანი** (საზაფხულო) — ჯადოსნური სალამური, **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო) — ჩრდილი გზაზე, **კიროვის სახელობის პარკი** — ბატონი 420 (II სერია), **გორკის სახელობის კულტურის სახლი** — 300 წლის წინათ